პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! **წლიწადი მესამე**

[illegible]

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ., არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პრო-
სპექტი, № 24 მეორე სართ.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება
შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე
დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი საქართ-
ველოში 1.800.000 მან. განცხადება 12
მან. ჩვეულებრივი ნონპარელის სტრი-
ქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მა-
ნეთი [illegible].

№ 193 პარასკევი 24 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 193

დ ღ ი უ რ ი

— მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის 50 სამრეწველო ფირმის კონსორციუმის წარმომადგენელი მარტე. საუბრის დროს მარტემ განაცხადა, რომ კონსორციუმს განზრახული აქვს გააჩაღოს სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

— გერმანიაში გაფიცვები გრძელდება. შტრეზემანის კაბინეტის მდგომარეობა არ არის მტკიცე. [illegible] მოსალოდნელია [illegible].

— საფრანგეთის მთავრობამ გადასცა ინგლისს ნოტა საკონტრიბუციო საკითხზე. საფრანგეთი უარს ამბობს რაიმე დათმობაზე საკონტრიბუციო საკითხში და ემუქრება გერმანიას ახალი რეპრესიებით.

[illegible] ცენტრალური კანტორისაგან

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ხელის მოწერის შესახებ

დღემდე, სხვადასხვა ტეხნიკური მიზეზების გამო გაძნელებული იყო ჟურნალ გაზეთების გამოწერა. დღეს ხელის მოწერა გაადვილებულია. ამიერიდან ხელის მომწერლებს შეუძლიათ გამოიწერონ ყველა ჟურნალ-გაზეთები ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებების საშუალებით, სადაც დაგზავნილია ცირკულიარი ამის შესახებ.

გაზეთების არარეგულარული მიღების შესახებ.

ჩვენს კანტორაში შემოდის საჩივრები, რომ ხელის მომწერნი დაგვიანებით ღებულობენ გაზეთებს ან და სულ ვერ ღებულობენ.

კანტორა აცხადებს, რომ ხშირად მისამართები არ არის სწორად აღნიშნული და ამის გამო დანიშნულ ალაგს გაზეთები ვერ აღწევს, ამიტომ საჭიროა მისამართები სწორად იგზავნებოდეს, აგრეთვე შესაძლებელია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში რჩებოდეს გაზეთები. თუ რომელიმე ხელის მომწერი ვერ მიიღებს გაზეთს, მან ამის შესახებ უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორას, რომ მას მიეცეს შეძლება თავის დროზე მიიღოს საჭირო ზომები.

ყოფილ მენშევიკების ყრილობის დელეგატების საყურადღებოთ.

დელეგატებმა, რომლებიც ჩამოდიან ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობაზე, უყოვნებლივ შეკითხვით
უნდა მიმართონ
საინიციატივო ბიუროს, რომელიც მოთავსებულია სასტუმრო „ნოე“-ში, ოთახი № 92 (პლეხანოვის პრ. № 103).
იქვე აძლევენ მანდატებსაც.

საინიციატივო ბიურო.

გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტები

მსოფლიო ომით და სამოქალაქო ომებით გამოწვეულმა სამეურნეო ცხოვრების არევ-დარევამ მძიმე პირობები შექმნა ყველგან და განსაკუთრებით სოფლად. [illegible] ეს მდგომარეობა სოფლისათვის, რომელიც ისედაც ჩამორჩენილი იყო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულადაც და გაჭირვებული [illegible] საკმაოდ მტკიცე დამოუკიდებელ [illegible] ლობს. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს დღეს ჩვენი სოფლების ასეთი მდგომარეობა. როგორც არ უნდა იყოს მძიმე [illegible] ამ გაჭირვებათა მოსპობის შემდეგ, ცხადია მაინც, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ არის, რათა სოფელი ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. [illegible] გლეხური მთავრობაც ყოველ ზომებს იღებს ამ მხრივ. მაგრამ აშკარაა, რომ როგორიც არ უნდა იყოს მისი დახმარება ამ მხრივ, აუცილებელია ისევ თვით გლეხთა ფართო ინიციატივა, მათი თვითმოქმედება. ამ მხრივ ერთ-ერთ ნიმუშს ასეთ თვითმოქმედებისას წარმოადგენს გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტები, რომელთა ქსელით მოფენილია რუსეთი და რომელთა მოწყობას შეუდგა ჩვენი სოფელიც საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის ხელმძღვანელობით.

ამ კომიტეტების მოვალეობას შეადგენს მატერიალური და შრომით დახმარება ღარიბ გლეხთა, განსაკუთრებით ქვრივ-ობლების, ავადმყოფების, ინვალიდების, დასახიჩრებული [illegible] მოკლულთა ოჯახების, [illegible] აგრეთვე, რომ სოფელი მსხვერპლი ხდება ბუნებრივი და სხვა უბედური შემთხვევების: წყალდიდობის, ცეცხლის გაჩენის, საქონლის ჭირის, ბანდიტიზმის, ერთი სიტყვით და სხვა. ვინ უნდა მიეხმაროს დაზარალებულებს ამ შემთხვევაში? და კომიტეტებიც მიზნათ ისახავენ მოსახლეობის დახმარებას და [illegible] გადარჩენას ამ უბედურებისაგან. მაგრამ გარდა რომ არ იყოს, ჩვენი სოფლის მეურნეს, როგორც მეურნეს, ესაჭიროება სამეურნეო დახმარება, საჭიროა აგრეთვე უფლებრივი დაცვაც ამა თუ იმ შემთხვევაში და ასევ კომიტეტების მოვალეობაა დახმარების ხელი გაუწოდოს მას. კომიტეტების მოვალეობაა, ამას გარდა, ხელი შეუწყონ საავადმყოფოების და სკოლების მოწყობას. ასეთია ფართო დანიშნულება და საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომელიც აწევს გლეხთა საურთიერთო დახმარების ამ ორგანოებს. ყველასათვის, განსაკუთრებით კი გაჭირვებულ სოფლებისათვის, ცხადია, თუ როგორი მნიშვნელობა ექნება მათ ცხოვრებაში ამ დიდი საქმის. [illegible] მუშაობა ჩატარდა და სწარმოებს დღეს სოფლის [illegible] ამ მიმართულებით. [illegible] არსებობს უკვე [illegible] ათასამდე ასეთი კომიტეტი. საქმით [illegible] დღეს ჩვენს სოფლებშიაც, სადაც კომიტეტების დაარსების იდეამ უკვე მოიკიდა ფეხი და საკმაოდ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა იქ. განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს ჯერ საქმე გურიაში. ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მთელ მოედანზე საქართველოსი. ჩვენ ვერ ჩამოვრჩებით ამ მხრივ ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებს, სადაც ეს კომიტეტები შედარებით ფართოთ გავრცელდნენ.

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი, რომლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ეს კამპანია, დიდი ენერგიით შეუდგა საქმეს. მან დაავალა ადგილებზე თავის რწმუნებულებს, რომლებიც ხელისუფლების ორგანოების და პარტორგანიზაციების დახმარებით ეწევიან სათანადო მუშაობას. მაგრამ ცენტრის ცდა უშედეგოთ დარჩება, თუ სოფლის ფართო მასებში, რომლებიც უშუალოთ დაინტერესებული უნდა იყვნენ ამ საქმით, არ მიიღეს ამაში მხურვალე მონაწილეობა: მხოლოთ მას შემდეგ, რაც ეს მოხდება და სოფლელები აქტიურათ გამოეხმაურებიან დაწყებულ კამპანიას, მას შემდეგ, რაც ეს მოძრაობა ჩაითრევს თავის ორბიტაში ამ სოფლელების დიდ უმრავლესობას, მხოლოდ [illegible] დაწყებული [illegible] და [illegible] გამარჯვებით [illegible] ამ აქტიური, ენერგიული და ფართო მასშტაბით დაყენებული მუშაობისაკენ მოვუწოდებთ ამხანაგებს, ჩვენი სოფლის მშრომელ გლეხობას.

მუშათა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან დაცვის საკითხის შესახებ

გაზ. „ზარია ვოსტოკას“ ა/წ. 20 ივლისის 165 (330) ნომერში მოთავსებულია ექიმ გ. კ-ის წერილი, რომელიც გვირჩევს წერილის სათაურში აღნიშნული საკითხის დეტალურად დამუშავებას და ამ დარგში გადაუდებელ ზომების მიღებას. ავტორი ფიქრობს, რომ „აუცილებლად საჭიროა მოეწყოს შრომის ან ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან სპეციალური განყოფილება „მუშების პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან დასაცავად“ და რომ ასეთი განყოფილება ჩქარა გააჯანსაღებს ყველა ჩვენ წარმოებებს და მათ მუშაკებს“.

ვესალმები რა ექიმ გ. კ-ს წინადადებას იმ საქმეში, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა მუშების და გლეხთა სახელმწიფოსათვის, ვფიქრობ, რომ მხოლოდ დაცვის „განყოფილების“ შექმნით ეს საკითხი არ იქნება ამოწურული. ასეთი განყოფილება (ან ქვეგანყოფილება) რა თქმა უნდა საჭიროა დაარსდეს და სწორედ, როგორც ქვემოთ ვიტყვით, უსათუოდ ჯანმრთელობის და არა შრომის სახალხო კომისარიატთან.

უმთავრესი მუშაობა მუშათა ჯანმრთელობის დასაცავად უნდა სწარმოებდეს ჩემის აზრით ადგილობრივად, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ყოველდღიურად, და ამ მუშაობის სათავეში უნდა იდგეს სარაიონო ფაბრიკა-ქარხნის ექიმი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სპეციალური თეორეტიული მომზადება და პრაქტიკული სტაჟი პროფესიონალურ ჰიგიენასა და პროფესიონალურ ავადმყოფობის დარგში. ამ მუშაობის ქალაქის სანიტარულ ექიმებისათვის გადაცემა [illegible] და უნაყოფო იქნებოდა მუშათა ჯანმრთელობის დაცვისათვის და წარმოებათა გაჯანსაღებისათვის. ჩემს მიერ ნაგულისხმევ სპეციალურ ფაბრიკა-ქარხნის ექიმთა პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს მხოლოდ სანიტარული და არა სამკურნალო მოღვაწეობა და სახელდობრ: 1. ხშირი და ზედმიწევნითი დათვალიერება როგორც მუშების, ისე წარმოებათა მუშაობის დროს და მუშაობის დამთავრების შემდეგ; 2. სასანიტარო წიგნებში ასეთ დათვალიერების შედეგების ჩაწერა და ამა თუ იმ ფაბრიკა-ქარხნის უმთავრეს სანიტარულ და ჰიგიენურ დეფექტების აღნუსხვა; 3. ამ დეფექტების თავიდან აცილების დრო და საშუალება და მათი თავიდან აშორების შეუძლებლობის მიზეზები და 4. ამა თუ იმ წარმოებაში შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის საქმეში ექიმის მონაწილეობა. ამჟამად უკვე გამოირკვა, რომ საჭიროა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია დაუახლოვდეს მუშათა ფართო მასებს და განვითარდეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპები უჯრედებში, რომლებიც იქმნებიან უშუალოდ ფაბრიკა-ქარხნებში, და სანიტარულ საფაბრიკო ექიმის აქტიური მონაწილეობა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის გატარების საქმეში, ამიერიდან აუცილებელია კონტროლის და მუშათა ჯანმრთელობის დაცვის მხრივ.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განყოფილების (სასანიტარო-ეპიდემიოლოგიურ განყოფილებასთან არსებულ ქვეგანყოფილების) მოვალეობა უნდა იყოს უმთავრესად სახელმძღვანელო და საკონტროლო ხასიათის. ამასთანავე თვითეული წარმოება უნდა იქნას დათვალიერებული განყოფილების მიერ (არა უმცირეს თვეში ერთხელ, განყოფილების (ან ქვეგანყოფილების) სათავეში უნდა იდგეს ექიმი-სპეციალისტი პროფესიონალურ ჰიგიენაში, ხოლო განყოფილების შემადგენლობაში უნდა შედიოდეს, როგორც ამას ექიმი გ.— კ.-იც აღნიშნავს, თითო წარმომადგენელი შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან და წარმომადგენელი სხვადასხვა წარმოებათა მუშებისაგან, რომლებიც ყოველ 2—3 თვეში გამოიცვლებიან.

ქვემოთ განყოფილების მუშაობა უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: 1) დამუშავება სტატისტიკურ მასალებისა საქართველოს მუშათა მასის პროფესიონალურ ავადმყოფობათა შესახებ, ამასთანავე ამ მასალების აწყობის [illegible] სასანიტარო საფაბრიკო ექიმის; 2) ამავე ექიმების საშუალებით მუშებისათვის პოპულიარულ ლექციების [illegible] ჰიგიენის საკითხებში, 3) მოწყობა სახელოსნოებისა სხვადასხვა წინასწარ-გამაფრთხილებელ საგნების დასამზადებლად მუშებისათვის მათი მუშაობის დროს, 4) „განყოფილებასთან“ პროფესიონალურ ჰიგიენის მუზეუმის მოწყობა და 5) ბროშურების და [illegible] გამოცემა პროფესიონალურ ჰიგიენის და პროფილაქტიკის საკითხებში, რომლებიც უფასოდ გავრცელდება მუშათა შორის.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მუშების დაცვა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან ყველაზე ახლოს დგას ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კომპეტენციასთან და რომ უკანასკნელთან უკვე არსებობს და მოქმედობს: სახელოსნო (პროცესებს დამამზადებელი), მუზეუმი — სოციალურ ავადმყოფობათა, სანიტარულ განათლების სახლი მოწყობილი აუდიტორიით, ეწყობა სპეციალური ბიბლიოთეკა და გამოდის ჟურნალი (საქ. სოც. საბჭ. რესპ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის უწყება), თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე ამას, უნდა ვაღიაროთ, რომ „მუშათა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან დაცვის განყოფილების“ დაარსება უფრო მიზანშეწონილი იქნება სწორედ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან.

ამ სპეციალურ „განყოფილების“ ორგანიზაცია და სასანიტარო საფაბრიკო ექიმთა კადრის შედგენა უნდა მოხდეს საჩქარო წესით, რადგან მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს პროფილაქტიკა წინ უნდა უსწრობდეს სამკურნალო მედიცინას. საბჭოთა საქართველოში ჯანმრთელობის საქმის ნამდვილი ორგანიზაციის საკითხი მთელი სიგრძე სიგანით დაისვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. ჯანმრთელობის დაცვის უდიდესი ამოცანების შესრულება შეუძლია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც დაამხო კაპიტალისტური [illegible] და ბურჟუაზიის ბატონობა. საქართველოს გასაბჭოების 2 ნახ. წლის განმავლობაში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა შეასრულა უდიდესი მუშაობა, განახორციელა მრავალი ძნელი ამოცანები და მიაღწია მნიშვნელოვან [illegible] შედეგებს სხვა და სხვა განყოფილებებში: სამკურნალო, სასანიტარო-საეპიდემიოლოგიო, დედობის და ბავშვობის დაცვის, სკოლის ჰასაკამდე და სკოლის ჰასაკის შემდეგ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის და სხვა განყოფილებებში.

ეხლა კი მთელი საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხორციელებული, უდაოთ იქნება — მუშების დაცვა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან. საქართველოს და კერძოთ ტფილისის მუშებისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება ამჟამად სწორი სტატისტიკური ცნობები პროფესიონალურ ავადმყოფობით დაავადების და უკანასკნელის კლასიფიკაციის შესახებ, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშების ამგვარად დაავადების პროცენტი მიუხედავად ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვარისა, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია.

პროფესიონალური ავადმყოფობანი — პოლიტიკური საქმეა. მათ გამომწვევ მიზეზათ, როგორც ეპიდემიურ და სოციალურ ავადმყოფობათა (ტუბერკულოზის, სიფილისის, ნერვიულ ავადმყოფობათა და სხვა) გამომწვევ მიზეზად ითვლება კაპიტალისტური მესაკუთრეობა და ბურჟუაზიული ხელისუფლება. ეს აზრი ნათლად დაასურათა ს. ს. რ. კავშირის ჯანმრთელობის სახ. კომისარმა ამხ. სემაშკომ საბჭოთა მედიცინის 5 წლის იუბილეს საზეიმო დღეს (ა. წ. 21 ივლისს). ოქტომბრის გამარჯვებასთან ერთად დაიწყო ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთის, ეპიდემიურ, სოციალურ და პროფესიონალურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთის 5 წლის და საბჭოთა საქართველოს 2 ნახ. წლის არსებობის ხანაში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა შეასრულა უდიდესი მუშაობა გასაოცარი — დადებითი შედეგებით, მიუხედავათ მძიმე ფინანსიურ-ეკონომიურ პირობებისა.

ეს მიღწევანი საექიმო [illegible] დარგში აღნიშნულ იქნა მომხსენებელთა მიერ ამ დღეებში ა/წ. ივლისში მოსკოვში მოწვეულ ჯანმრთელობის სახ. კომისართა ყრილობაზე.

მაგრამ მეორე მხრივ მათვე აღნიშნეს, რომ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს პროფილაქტიურ მედიცინის უფრო ფართოდ დაყენება, ე. ი. წინასწარ გამაფრთხილებელ ზომების მიღება ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ამ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დარგს ეკუთვნის მუშების დაცვაც პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, როგორც თვით მუშები და პროფკავშირები, ისე საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი თანაგრძნობით შეხვდებიან ამ საკითხს და [illegible] წესით მის ცხოვრებაში გატარებას და ამიტომ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატი და სახალხო კომისართა საბჭო მიუხედავათ [illegible] ფინანსიურ სიძნელისა, დახმარებას გაუწევენ ამ მნიშვნელოვან საქმეს და უბოძებენ სათანადო საშუალებებს მის განხორციელებისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებულია საკითხი პროფესიონალურ სწავლების ტეხნიკუმების და მუშათა ფაკულტეტების უფროს განყოფილებებში პროფესიონალურ ჰიგიენის კურსის შემოღების შესახებ. ამ კურსის [illegible] და [illegible] პროგრამა უკვე შემუშავებულია ქ. ტფილისის სასკოლო-სასანიტარო ექიმთა კომისიის მიერ და კიდეც მოხსენდა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის პედაგოგიურ სექციის სხდომას. საჭიროა სახალხო განათლების კომისარიატმა განიხილოს, დაამტკიცოს და შემოიღოს ეს პროგრამა მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ყველა აღნიშნულ სკოლების ორ უფროს განყოფილებაში. პროფილაქტიკის საქმეში ეს ღონისძიება ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია, ახალი თაობის მიერ საბჭოთა მედიცინის წარმატებით შესათვისებლად მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში.

ამგვარად საკითხი მუშათა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან დაცვის შესახებ ამოიწურება შემდეგ დებულებებით: 1. სარაიონო სასანიტარო ექიმთა კადრის დაარსება [illegible] ფაბრიკა-ქარხნებში, 2) მუშათა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან დაცვის განყოფილების (ან ქვეგანყოფილების) დაარსება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან, 3) პროფესიონალურ ჰიგიენის კურსის შემოღება ყველა სკოლებში და მუშების ფართო მასში პროფილაქტიკასთან ერთად და 4) სათანადო სახარჯთაღრიცხვო საშუალებათა გადადება ამ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმის მოსაწყობად.

ექიმი [illegible].

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში

მაზრულობით საქართველოში მალარია იკავებს პირველ ადგილს სხვა ეპიდემიურ ავადმყოფობათა შორის. წინასწარი დაკვირვებით წელს თითქო არ ჩანს ეპიდემიის გავრცელების ნიშნები იმ ზომით, როგორც გასულ წელში. მიუხედავათ ამისა მდგომარეობა საშიშია და საჭიროა დიდი ყურადღება და ძალ-ღონე ამ დამაუძლურებელ სნეულებასთან საბრძოლველათ. საკმარისია აღნიშვნა, რომ საქართველოში 800,000 კაცი შეპყრობილია ქრონიკული მალარიით (რესპუბლიკის მცხოვრებლების თითქმის 1/3). მხოლოდ ამ მასის მკურნალობა თავის-თავად წარმოადგენს დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანას. ამას უნდა დაუმატოთ ახალი შემთხვევები მალარიით ავადმყოფობისა, რაც ყოველ წლიურად უდრის 300.000. ჩვენ თავის დროზე გამოვიმუშავეთ მალარიასთან ბრძოლის ფართო გეგმა, რომლის სისრულეში მოყვანა დამოკიდებული იყო მატერიალურ საშუალებებზე.

მუშაობა დასახული გვქონდა ორი მიმართულებით: განზრახული იყო 10 სამალარიო ექსპედიციის გაგზავნა უმთავრესად იმ ადგილებში, რომელიც ცნობილია მალარიის გავრცელებით. ექსპედიციების დანიშნულება მალარიის და მისი მიზეზების (კოღო ანოფელეს) შესწავლა და იმავე დროს დახმარების აღმოჩენა მცხოვრებლებისათვის. სამალარიო ექსპედიციის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე სამალარიო სექციების ორგანიზაცია ყველა მაზრებში ჯანგანყოფილებებთან და შეძლებისდაგვარად დახმარების აღმოჩენა ქინაქინით, სასანიტარო საგანმანათლებლო ლიტერატურის უსასყიდლოთ დარიგებით და სხვა.

საშუალების უქონლობის გამო, 10 ექსპედიციის ნაცვლად ჩვენ მოვახერხეთ და გავგზავნეთ მხოლოდ 4 ექსპედიცია (კახეთში, სამეგრელოში, ყარაიაზის და ქუთაისის რაიონში). თითო ექსპედიციას შეუძლია გაიყოს ორ-სამ რაზმად, რაც გააფართოებს მისი მოქმედების რაიონს.

რიგში სდგას ექსპედიციის გაგზავნა გორის მაზრაში, სადაც საშუალებების უქონლობის გამო გაგზავნილი იყო მხოლოდ საეპიდემიო რაზმი.

ყოველ ექსპედიციას აქვს სამგზავრო ლაბორატორია, 50 კილო ქინაქინა, ნეოსალვარსანი და სხვა. აგრეთვე მათ აქვთ პირველი საჭიროების წამლეულობა, ვინაიდან წარსულის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ექსპედიციებს უხდებათ საქართველოში საერთო საექიმო ქსელის სიმცირის გამო, მცხოვრებთათვის წამლების მიწოდება.

ექსპედიციები გაგზავნილია ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში და მუშაობენ სრული თანხმობით მასთან.

შესრულებულია დიდი მუშაობა მალარიის საწინააღმდეგო ორგანოების მოსაწყობათ. ადგილობრივ ამჟამად ყველა მაზრაში არსებობს სამალარიო სექცია, რომელშიაც შედიან სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სექციები სდგანან მალარიის საწინააღმდეგო ფრონტის სათავეში: ისინი აწარმოებენ საგანმანათლებლო მუშაობას და იპყრობენ მშრომელთა ყურადღებას მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის კითხვებში.

სამალარიო სექციების ნაყოფიერი მუშაობა უმთავრესად დამოკიდებულია ადგილობრივი აღმასკომებზე. აღმასკომებმა უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება საბჭოთა აღმშენებლობის ამ დარგს; მათ უნდა გააფართოვონ და გაავრცელონ მალარიასთან ბრძოლა მშრომელთა მასების ჩათრევით მუშაობაში, უამისოდ ყოველი შრომა ჩაივლის უნაყოფოდ და ვერ მიაღწევს მიზანს.

მალარიით ავადმყოფების სტაციონალური დახმარებით უზრუნველსაყოფად ყველა მაზრებში გამოყოფილია 10 პროცენტი არსებული საწოლებისა.

მცხოვრებლების უსასყიდლოთ ქინაქინისთვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამზადებულია და გაგზავნილია ადგილებში 27.000 ამპულა ქინაქინა.

ცხადია, რომ ეს საკმარისი არ არის, მაგრამ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მეტის მიცემის საშუალება არ ჰქონდა. ქინაქინის შეძენის გეგმა, რომელშიაც მოვითხოვდით 9000 კილოს, სხვადასხვა ინსტანციებში განხილვის შემდეგ დაყვანილი იქნა 300 კილოზე; ამ რაოდენობის მიხედვით მოგვიხდა მალარიის საწინააღმდეგო კამპანიის დაწყება.

შედარებით გასულ წელთან ჩვენ დავიწყეთ მალარიის საწინააღმდეგო კამპანია მეტი მომზადებით და გამოცდილებით. ადგილებმაც მიიღეს მეტი დახმარება, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

როგორც ადგილებმა, ისე ცენტრალურ დაწესებულებებმა უნდა აღმოგვიჩინონ ამ დარგში მუშაობისათვის ყოველგვარი დახმარება, უმთავრესად ფინანსიური. მათ უნდა შეითვისონ, რომ მალარიასთან საბრძოლველად დახარჯული თანხები არ არის დაკარგული, არამედ ის დაუბრუნდება სახალხო მეურნეობას აღდგენილი სამუშაო ძალის სახით. მალარიასთან ბრძოლა იმავე დროს არის ბრძოლა მისი თანამგზავრ ტუბერკულოზთან და სხვა ავადმყოფობებთან, რომლებიც აუძლურებენ მუშათა კლასის და გლეხობის სხეულს.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სამალარიო ფრონტზე გაწეული ხარჯები სრულიად მიზანშეწონილია და სავსებით გაამართლებს გაღებულ თანხებს.

გრ. ქუჩაიძე.

რადიო-დეპეშები

(„საქროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

მინისტრთა საბჭოს თათბირი პარტიების ლიდერებთან.

პარიზი. 23 აგვისტო. კანცლერი შტრეზემანი პარტიების ლიდერებთან და მრეწველებთან ერთად, იხილავდა ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას. კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობა, თუ საჭირო იქნება, მიიღებს დიქტატორულ ზომებს გერმანიის გადასარჩენათ. შტრეზემანმა ხაზი გაუსვა დევიზის ფონდის შექმნის აუცილებლობას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმპორტს და შესაძლებელი გახადოს მარკის სტაბილიზაცია. პარტიების ლიდერებმა მოიწონეს შტრეზემანის გეგმა.

რომი. 23 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც დაესწრო პრეზიდენტი ებერტი, კანცლერმა მოისმინა პარტიების ლიდერების აზრი და მოიწონა ძირითადი ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროდ ცნობილ იქნა განხორციელებულ [illegible] რებაში განსაკუთრებულ კანონპროექტების საშუალებით. გაზეთების ცნობით, მთავარი ეკონომიური ღონისძიება, რომელიც წამოყენებული იყო თათბირზე, ეს არის სადევიზო ფონდის შექმნა გერმანიის საზღვარ-გარეთიდან [illegible] სურსათით [illegible] უზრუნველყოფისათვის. ფონდის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ ბანკები, მრეწველები და მემამულეები.

შტრეზემანის გამოსვლა რეიხსტაგში.

რომი. 23 აგვისტო. ხვალ ელიან შტრეზემანის გამოსვლას რეიხსტაგში, დაწვრილებითი განმარტებით განზრახულ ფინანსიურ ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ.

ბერლინის ტრამვაი აღარ მუშაობს.

პარიზი. 23 აგვისტო ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ქალაქის თვითმმართველობამ, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა დაეფარა 60 მილიარდი მარკის დეფიციტი, დროებით შეაჩერა ტრამვაის მოძრაობა.

თხუთმეტჯერ მეტი.

პარიზი. 23 აგვისტო. რეიხსტაგის ფისკალურმა კომისიამ 1500 პროცენტით გაადიდა გადასახადი მუშებისა და მოსამსახურეების თვის მისაცემ დამატებით ჯამაგირზე.

ჰავენშტეინის გადაყენება.

პარიზი. 23 აგვისტო. სერიოზული მდგომარეობის შექმნის გამო რეიხსბანკში, მინისტრთა საბჭომ გადააყენა თანამდებობიდან რეიხსბანკის დირექტორი ჰავენშტეინი.

ლეიპციგის გამოფენის ფულის ნიშნები.

რომი. 23 აგვისტო. ლეიპციგის გამოფენის სამეთვალყურეო კომიტეტმა ნებართვა მიიღო გამოუშვას დროებით გამოფენის დროის განმავლობაში საკუთარი ფულის ნიშნები.

კულტურული ცხოვრება ჩერდება.

ბერლინი. 23 აგვისტო. სტამბის მუშების მოთხოვნილების გამო შრომის ხელფასის გადიდების შესახებ, მიუნხენში დაიკეტა მთელი რიგი სტამბებისა. სხვა გამოცემათა შორის შეჩერდა ჟურნალი [illegible] გამოცემაც.

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთის ნოტა საკონტრიბუციო საკითხზე.

პარიზი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ნოტა, რომელიც გამოქვეყნებული იყო სამშაბათს, შეიცავს საფრანგეთის მიერ დაჭერილ პოზიციის და საკითხების ფაქტიურ გადაჭრის პირობების აღნუსხვას.

ნოტა იწყება განცხადებით, რომ საფრანგეთის მთავრობა არასოდეს არ მისდევდა ეგოისტურ პოლიტიკას და ფიქრობდა, რომ საკონტრიბუციო საკითხები გადაჭრილი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობებში, თუ პატივისცემით მოეპყრობოდნენ საერთოდ ევროპის ინტერესებს. საფრანგეთის მთავრობა მხედველობაში იღებს იმ გაჭირვებას, რომელსაც განიცდიან ზოგიერთი მოკავშირეები, როგორც მაგ. ინგლისი, სადაც უმუშევრობა გრძელდება. გამოდის რა ვერსალის ხელშეკრულებიდან, რომლის გადასინჯვა შექმნიდა საშიშარ პრეცედენტს, ნოტა აღნიშნავს მთელ რიგ დათმობებს, რომელზედაც (!) წავიდა საფრანგეთი გერმანიის მიმართ საკონტრიბუციო კომისიის მიერ ვალების ჯამის დაწესებამდე და მას შემდეგ.

ეს დათმობები არასოდეს არ ყოფილა ანაზღაურებული გადასახდების შემოტანით, და დაუდევრობაც კი გამოიწვია ამან გერმანიის მხრივ. გერმანიამ არა თუ არ მიიღო ზომები თავის ბიუჯეტის გასაუმჯობესებლად, არამედ შეინარჩუნა ტრანსპორტის ისეთი ტარიფი, რომელიც ნაკლებია ყველგან მიღებულ ტარიფზე. გერმანიამ გაუდიდა ხელფასი მოხელეებს, მან ვერ გადასწყვიტა მონაწილეობა მიეღო [illegible] ველთა და [illegible] კონტრიბუციის გადახდაში, მან აღადგინა თავისი კომერციული ფლოტი, შეასრულა რა ამავე დროს ისეთი სამუშაო, რომელსაც ვერ გაბედავდა საფრანგეთი დღევანდელ მომენტში. აი სწორედ ასეთ პირობებში საფრანგეთის მთავრობამ მოახდინა რურის ოკუპაცია. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ გერმანიამ 3 წლის განმავლობაში არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი.

საკონტრიბუციო კომისიამ განზრახ მიანიჭა საფრანგეთის მოქმედებას უფლება, რაც აგრეთვე გამომდინარეობდა ვერსალის ხელშეკრულების ტექსტიდან და მოკავშირეთა სხვადასხვა კოლექტიურ განცხადებებიდან და სახელდობრ: 1920 წ. 16 ივლისს სპაში მიღებულ ოქმიდან, რომელიც გამოხატავდა ინგლისის და საფრანგეთის სრულ თანხმობას, შემდეგ 1921 წლის ლონდონის დეკლარაციიდან და უმაღლეს საბჭოს 1921 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებიდან. უკანასკნელი დადგენილება გულისხმობს რურის ოკუპაციას არა მარტო გერმანიის მიერ საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილებათა არ მიღების დროს, არამედ იმ შემთხვევაშიაც, თუ გერმანია არ შეასრულებს თავის დაპირებებს. ეს დადგენილება აღიარა თვით გერმანიამ. მაგრამ მიუხედავათ ვერსალის ხელშეკრულების ტექსტის უდავო ხასიათისა, გერმანიამ, მიიღო რა რურის ოკუპაცია, როგორც მტრული აქტი, გასწია წინააღმდეგობა, რომელსაც ეწოდება პასიური, ნამდვილად კი აქტიური, რომელიც მოწყობილია მრეწველთა და ბერლინის მიერ. ამგვარად წინააღმდეგობის შეწყვეტა არის საფრანგეთისათვის უმთავრესი პირობა რურის ოკუპაციის შესაცვლელად. ამ შემთხვევაში ოკუპაცია გაგრძელდება სხვა პირობებში, ვიდრე ეს ამჟამად ხდება, და გამოიხატება პროგრესიულ ევაკუაციაში გადასახდების შეტანის მიხედვით.

საფრანგეთის მთავრობას არავითარი სურვილი არ აქვს დარჩეს რურში, არ აქვს არავითარი პოლიტიკური და ანექსიონისტური ხასიათის ზრახვები. თვით გერმანიაზეა დამოკიდებული ევაკუაციის დაჩქარება, თუ მოიკრებს მთელ ძალ-ღონეს, რის შესაძლებლობაც დაამტკიცა ავსტრიის მაგალითით, რომელიც გაცილებით ღარიბია საშუალებებით, ვიდრე გერმანია. საფრანგეთისათვის მოთხოვნა იმისა, რომ მან სხვაგვარად იმოქმედოს, ნიშნავდა გერმანიისადმი დათმობას, და როგორც განაცხადა ლოიდ-ჯორჯმა უმაღლეს საბჭოში 1921 წ. 3 მაისს, ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებულები გადიხდიდენ დამარცხების ზარალს, დამარცხებულები კი იგემებდენ გამარჯვების ნაყოფს“.

საფრანგეთის მოთხოვნილებანი არ აღემატება გერმანიის გადახდის უნარიანობას. რამდენიმე თვის წინად საფრანგეთმა წარუდგინა მოკავშირეებს თავისი პროგრამა, რომელშიაც აღნიშნული იყო საფრანგეთის ფულები, ლონდონში მიღებული გადასახადების შემოტანის წესი აძლევდა საფრანგეთს ამ ფულების გარანტიას და კიდევ რამდენიმე ახალსაც. საფრანგეთმა გაიღო დიდი თანხები გერმანიის ხარჯზე და არ შეუძლია არც შესწყვიტოს აღმადგენლობითი მუშაობა და არც დაუსრულებლად ხარჯოს ასეთი თანხები. საფრანგეთს არასოდეს არ უთქვამს უარი იმ ვალების გადახდაზე, რომელიც აღებულია ამერიკასა და ინგლისში საერთო გამარჯვების მოღწევის მიზნით და [illegible] არის სხვა მოკავშირეების კრედიტორი, რომელთაც მან მისცა [illegible] მილიარდ მარკაზე მეტი ოქროთი. მაგრამ მას სამართლიანად მიაჩნია, რათა ომის მიერ გამოწვეული ხარჯები მისდევდეს კონტრიბუციის და იმ ზარალს, რომელიც ჩამოთვლილია ხელშეკრულებაში.

საკონტრიბუციო კომისიამ შეადგინა გერმანიის ვალდებულებათა საერთო ჯამი, განსაზღვრა გერმანიის გადახდის უნარიანობა იმისათვის, რათა შესძლოს გადასახდელის რაოდენობა განსაზღვრულ ვადებში, ზოგიერთ პირობებათა მიხედვით, მაგრამ დაუშვა შეცდომა, როდესაც მიიღო ცნობები საბოლოოთ, იმის მაგიერ, რომ ანგარიშში გაეწია გერმანიის გადახდის უნარიანობის საერთო ევოლიუციისათვის.

ნოტა გადადის შემდეგ საკონტრიბუციო კომისიის დებულებების განხილვაზე. ნოტა აღნიშნავს, რომ მიუხედავათ საკონტრიბუციო კომისიიდან ამერიკის დელეგაციის გამოსვლისა, გერმანიის [illegible] შემთხვევაში ყოველთვის ყოფილა აღნიშნული კომისიის 3 წევრის მიერ წინადადება ერთისა, საფრანგეთის თავმჯდომარის პრეროგატივით სარგებლობის გარეშე. აქვე საჭიროა აღნიშნოს, რომ საფრანგეთს და ბელგიას [illegible] მოკავშირეთა ყველა საკრედიტორო უფლებების 60 პროცენტი გერმანიის წინაშე. ეს არგუმენტი ყველასათვის გასაგებია, ვინც [illegible] პირდაპირებს პრაქტიკულ შინაარსს.

დასკვნაში ნოტა ამბობს, რომ საფრანგეთი მზადაა მეგობრულად, მოკავშირეებთან ერთად განიხილოს ყველა საკითხები და ფიქრობს, რომ საჭიროა, რაც შეიძლება საჩქაროდ შეთანხმდენ გერმანიის ვალის იმ ნაწილის გადახდის საკითხში, რომელიც ხმარდება განადგურებულ ოლქების აღდგენას.

კომისიის მიერ გერმანიის ვალის დანარჩენი ნაწილის და სამხედრო ვალების საკითხის განხილვა შეიძლება გადადებულ იქნას რომელიმე განსაზღვრულ ვადამდე.

საფრანგეთი ფიქრობს, რომ ინგლისს არ აქვს განზრახვა მოითხოვოს მოკავშირეთა ვალების გადახდა კონტრიბუციის გადახდამდე, ვინაიდან ინგლისმა იცის, რამდენად აუცილებელია საფრანგეთისათვის პირველ ყოვლისა თავისი ეკონომიური ძლიერების და განადგურებულ ადგილების აღდგენა. თუ ინგლისი დაინტერესებულია იმაში, რომ აღდგეს გერმანია, საეჭვოა, რომ იგი დაინტერესებული იყოს საფრანგეთის განადგურებით“.

შტრეზემანის აზრი ოკუპაციის შესახებ.

რომი. 23 აგვისტო. გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს შტრეზემანმა განაცხადა, რომ ოკუპაციის ადგილებში ბლოკადის გაგრძელება ძლიერ გამწვავებას გამოიწვევს საფრანგეთის წინააღმდეგ. შტრეზემანმა იმედი გამოსთქვა, რომ საფრანგეთის [illegible] და მსოფლიოს [illegible] მიხვდება, თუ რამდენად ეწინააღმდეგება მისი მოქმედება კანონიერებას, ჰუმანიზმს და გონიერებას.

საფრანგეთის ნოტა ლონდონში მიიღეს.

რომი. 23 აგვისტო. ლონდონიდან უწყებიან, რომ საფრანგეთის საპასუხო ნოტა უკვე მიღებულია ლონდონში. ბალდვინი, ალბათ, დაუყოვნებლივ მოიწვევს კაბინეტის სხდომას.

საფრანგეთის ნოტა.

ლონდონი. 23 აგვისტო. დღეს ლონდონში მიიღეს საფრანგეთის ნოტა საკონტრიბუციო საკითხზე. ნოტა შედგენილია მორიდებულად, მაგრამ მტკიცე კილოთი.

საფრანგეთი მოითხოვს გერმანიისაგან 1300 მილიონ სტერლინგს ინგლისისათვის და ამერიკისათვის ვალის გადასახდელად. ნოტაში ნათქვამია, რომ „თუმცა გერმანიამ თვითონ მიიყვანა თავისი თავი დროებითი კრიზისამდე, მაგრამ მისი სამრეწველო ძალები უფრო დიდია, ვიდრე [illegible]“. საფრანგეთი არ დაუთმობს გერმანიას არც ერთ საკითხს საკონტრიბუციო ჯამიდან, აგრეთვე ვერ აიღებს ხელს იმ [illegible] ზომებზე, რომელსაც იგი მიმართავს დღეს, რომ აიძულოს გერმანია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. გერმანიამ უნდა გადაიხადოს ყველაფერი და რაც შეიძლება დაჩქარებით. ამ რიგად რურის განთავისუფლება საოკუპაციო ჯარებისაგან თვით გერმანიაზე არის დამოკიდებული.

„ფორვერტს“-ი საფრანგეთის ნოტის შესახებ.

ბერლინი. 23 აგვისტო. ეხება რა საფრანგეთის ნოტას, „ფორვერტსი“ ამბობს, რომ ეს ნოტა ერთხელ კიდევ ამტკიცებს საფრანგეთის სურვილს შეინარჩუნოს [illegible] რეინლანდი და რური, რაც ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას და გერმანიის კრედიტორების ინტერესებს.

ამერიკა დროს უცდის.

ლონდონი. 23 აგვისტო. „დეილი-მეილ“-ის კორესპონდენტი ნიუ-იორ-

გერმანიის კომუნისტების მისალმება აზერბეიჯანის პროლეტარიატისადმი

ბაქო. 23 აგვისტო. გერმანიის კომუნისტური პარტიის ბერლინ—ბრანდენბურგის ორგანიზაციამ გამოუგზავნა აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას, განსაკუთრებით მას ორგ ნიზაციას წითელ ბაქოში, მისალმება, რომელიც არის პასუხი ბაქოს პროლეტარიატის მიერ ბერლინის მუშებისათვის წითელი დროშის გაგზავნაზე.

„ძვირფასო ამხანაგებო! აღფრთოვანებით და სიამაყით მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი დროშა“. ჩვენ, ბერლინის კომუნისტებმა ვიცით, რას ნიშნავს თქვენი საჩუქარი. დაშორებულმა გერმანიისაგან, დაშორებულმა ბერლინიდან, თქვენ იფიქრეთ ისეთ ნაბიჯზე, რომელიც ძლიერმოსილმა რევოლუციამ უნდა გადადგას. განა თქვენ არ გმართებთ იყოთ მოუთმენელი,—თქვენ, რომელთაც მოახერხეთ საკუთარი ძალ-ღონით და მუშას რკინის მუშტით განთავისუფლება კლასობრივ მტრის ხელებისაგან იმ იარაღით, რომელიც თქვენ გამოსჭედეთ და მოიგერიეთ საზღვარ-გარეთული და საკუთარი სამშობლოს თეთრგვარდიელები? განა თქვენ, შორეულ აზერბეიჯანის მშრომლებს არ გმართებთ იყოთ მოუთმენელნი? მაგრამ თქვენ არ ჰკარგავთ მოთმინებას, თქვენ გამოგვიგზავნეთ წითელი დროშა.

ამით თქვენ გინდოდათ გეთქვათ: „უკვე თითქმის 6 წლის განმავლობაში ფრიალებს იგი ამაყად მოსკოვის კრემლზე, პროლეტარული ფედერაციის ამ პირველ და ერთად-ერთ სატახტო ქალაქზე. მოსკოვის მაგალითს უნდა მიბაძოს ბერლინმა. წითელი დროშა უნდა აფრიალდეს იმ სასახლეზე, რომელშიაც მოკალათებული იყო და უწესოებას ჩადიოდა ვილჰელმ სისხლისმღვრელი რომელზეც კარლ ლიბკნეხტმა აღმართა აჯანყების წითელი დროშა. თქვენ, გერმანელ მუშებს შეგეძლოთ და კიდეც უნდა ჩაგეგდოთ ხელში ძალა-უფლება, მაგრამ თქვენ ეს არ ჩაიდინეთ, ვინაიდან თქვენ არ გესმოდათ, რომ მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ ჩაიგდებს ხელში ძალა-უფლებას, როდესაც დაუზოგავად გაანადგურებს ბურჟუაზიას, როდესაც ის განდევნის მენშევიკურ გამცემლებს და მხდალებს და დაამყარებს თავის მტკიცე დიქტატურას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ“. ეს გინდოდათ გეთქვათ თქვენ, ჩვენთვის, ბერლინის კომუნისტებისთვის. ჩვენ გვესმის თქვენი ძახილი და გიპასუხებთ აზიის საზღვრებზე მყოფ პროლეტარებს.

ჩვენ გავყვებით თქვენს მოწოდებას. ჩვენ მზად ვართ. მეორეჯერ ველარ მოგვატყუებენ ჩვენ გამცემლები და მხდალები. ბურჟუაზია სავსებით გაიხრწნა იმ დროს, როდესაც გერმანიას თავს ესხმის სისხლის მღვრელი ჯალი პუანკარე, ჩვენი სამშობლოს მძარცველები არაფერზე აღარ ფიქრობენ, გარდა იმისა, რომ თავს დაიხსნან საკუთარი ქვეყნის მუშებს და გლეხებს და ანტანტის იმპერიალისტურ მოვაჭრეთა და ექსპლოატატორებთან ერთად გასუქდენ ევროპის მუშათა კლასის ოფლით და სისხლით. ეხლა ჩვენ მივიღეთ გაკვეთილი. ჩვენ მზად ვართ, პირველსავე შესაძლებლობის მომენტში, ჩვენ დავანგრევთ დამპალ შენობას და დავამყარებთ ჩვენს დიქტატურას, რომელიც გავრცელდა რეინის ნაპირებიდან კამჩატკამდე და ჩრდილოეთის ზღვიდან ალპებამდე, ტურქესტანამდე და ჩინეთამდე.

ჩვენ ფიცს ვსდებთ ამაში იმ დროშის წინაშე, რომელიც თქვენ გადმოგვეცით მთელი ქვეყნის ჩაგრულთა და ყველა კომუნისტების სოლიდარობის ნიშნად, შემდეგ ჩვენ გეუბნებით: თუმცაღა ჩვენს რიგებში არ არიან არც კარლ ლიბკნეხტი, არც როზა ლიუქსემბურგი, არც ათასი სხვა ამხანაგები, რომლებიც დახვრეტილ იქნენ ჩვენი კლასობრივი მტრების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ თითქმის ხუთი ჯოჯოხეთური წლის განმავლობაში გერმანიის რევოლიუციამ ბევრი რამ გვასწავლა. დეე! ბურჟუაზიამ იოცნებოს თავის ძლიერებაზე; მისი ძალა არსებობს მხოლოდ მის წარმოდგენაში. ამ ძალას ჩვენ გავანადგურებთ ერთი დაკვრით. როგორი თვალთმაქცობითაც არ უნდა შეეცადონ სოციალ-გამყიდველები მახის დაგებას მუშებისათვის, სიმშილობა აიძულებს მუშებს გამოგვყვენ ჩვენ. ის დრო წავიდა, როდესაც შეიძლებოდა ხალხის შეცდომაში შეყვანა. მასა იღვიძებს. როდესაც ისინი გაიმაგრებენ თავიანთ მუსკულებს, რომლებიც შესუსტებულია ბურჟუაზიის მენშევიკური ლაქიების მიერ, მაშინ თავიდან მოიშორებენ ყველა მუქთახორებს, როგორც ზედმეტ ლეშს. მხოლოდ კომუნისტები უჩვენებენ მათ გამოსავალს, მხოლოდ კომუნისტებს შეუძლიათ მათთვის გზის ჩვენება. მასები ამას თანდათან იგებენ. ამხანაგებო, თქვენი დროშა მუდამ იქნება სტიმული ჩვენი ძალების კიდევ უფრო მეტად დარაზმვისათვის. ჩვენ, ბერლინის მუშები, ვიბრძოდით და სისხლს ვღვრიდით გერმანიის რევოლიუციის განმავლობაში. 1918 წელს დეკემბერში ებერტმა უბრძანა თავის გენერლებს დაეხვრიტეთ ჩვენ და შეიდემანი შეჰხაროდა ამა სისხლისმღვრელ დროშას. იანვარში ჩვენ ვებრძოდით თეთრგვარდიელებს, რომელთაც მოუძღოდა ნოსკე ვილჰელმის ოფიცრების წინააღმდეგ, რომლებიც იცავდნენ ებერტის ტახტს და შეიდემანის სამინისტრო სავარძელს. ჩვენ დაგვამარცხეს ყუმბარების ცეცხლით. 1920 წ. იანვ. ებერტმა სროლა აგვიტეხა რეიხსტაგის შენობიდან, რადგანაც ჩვენ მაშინ დემონსტრაციაზე გამოვედით ბოლშევიკების რევოლიუციონური უფლებების დასაცავად. იმავე წელს მარტში იმავე ებერტის ჩვენ გადავურჩინეთ ტახტი, როდესაც თეთრგვარდიელი კაპპი შემოდიოდა ბერლინში, ბურჟუაზია და ებერტი მუდამ გვაწამებდნენ ჩვენ, იგინივე იარაღს აძლევდნენ ფაშისტებს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ დავეცნით მათ და მზად ვართ ავაფრიალოთ პროლეტარული დიქტატურის წითელი დროშები ბერლინში, ამავე დროს ჩვენ არ დავივიწყებთ თქვენს წითელ დროშას.

გაუმარჯოს გერმანიის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს ბაქოს და აზერბეიჯანის რევოლიუციონურ პროლეტარიატს!

ძმური სალამით გერმანიის კომუნისტური პარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაცია.

რუთა ფიშერი.

კიდან იუწყება; თეთრ სასახლეში ფიქრობენ, რომ თუმცა ამერიკის მთავრობას ძლიერ აფიქრებს ევროპის კრიზისი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ევროპის პოლიტიკაში ისეთი არა ვერი მომხდარა, რომელიც გამოიწვიოს ამერიკის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას.

კომპრომისს ეძებენ.

ლონდონი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ნოტას დიდს კომენტარიებს უკეთებენ. ჯერ-ჯერობით მოსალოდნელი არ არის ინგლისის მთავრობის ოფიციალური აზრის გამოქვეყნება ბევრი მიზეზებისა გამო, კერძოდ კი, სანამ საპასუხო ნოტა არ მიიღება ბელგიისაგანაც. მაგრამ, გადაჭრით აღნიშნავენ, რომ ყოველი ღონისძიება იქნება მიღებული კომპრომისის გამოსანახავად.

მოსალოდნელია ბალდვინისა და პუანკარეს შეხვედრა

ლონდონი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ნოტამ ლონდონში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იმედოვნებენ, რომ შესაძლებელია მოლაპარაკების გასაგრძობად ახალი გზების გამოძებნა. ფიქრობენ, რომ კაბინეტის სხდომა ჯერ არ შესდგება. ამ გარემოებას იმითი ჰხსნიან, რომ ბალდვინს განზრახვა აქვს პუანკარესთან პირადათ გამართოს თათბირი, რომელიც საფრანგეთში მოხდება.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

საფრანგეთის კონსორციუმის წარმომადგენელი რუსეთში.

მოსკოვი. 22 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის კონსორციუმის წარმომადგენელი მარტენსი, რომელიც ამავე დროს არის საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის ნაციონალური გაერთიანების თავმჯდომარე.

რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესება.

მოსკოვი. 22 აგვისტო. საფრანგეთის კონსორციუმის „რუსიმექს“-ის წარმომადგენელმა მარტენმა, რომელიც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდა, განაცხადა, რომ „რუსიმექს“-ი აკავშირებს საფრანგეთის ორმოცდაათი სამრეწველო ფირმას კაპიტალით 500 მილიონი ოქროს ფრანკი. **კონსორციუმს მიზნათ აქვს დასახული რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.** კონსორციუმის წევრთა უმრავლესობას რუსეთთან საქმე ჰქონდა ჯერ კიდევ ომამდის. რუსეთში მარტენი მუშაობდა 22 წლიწადი, 1918 წლამდი „რუსიმექს“ შეუძლია შეისყიდოს რუსეთში მატყლი, ბამბა, ხე-ტყე და სხვა ნედლი მასალა. თავის მხრივ კონსორციუმი მიაწოდებს საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის, მრეწველობისათვის და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საქონელს და იარაღებს. რუსეთიდან გატანილ საქონლის ფასს „რუსიმექს“-ი გადაიხდის ნაწილობრივ ოქროთი და საქონლით.

მარტენის აზრით, ის გარემოება, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა დღემდი არ განახლებულა იმით აიხსნება, რომ რუსეთში მოდიოდენ ისეთი პირები, რომელნიც არ იცნობდენ ადგილობრივ პირობებს.

ს. ს. რ. კ სავაჭრო წარმომადგენელი ინგლისში.

მოსკოვი. 22 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის პირველი მდივანი ამხ. ბიტნერი უკვე ჩავიდა ლონდონში და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი.

პეკინი. პეკინის პრესა ეხება იმ აღფრთოვანებულ შეხვედრას, რომელიც გაუმართეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ჩინეთში ამხ. კარახანს მანჯურიასა და ხარბინში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს ფაქტი მაჩვენებელია ახალი ხანის დაწყების რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობაში ორივე ქვეყნებს შეუძლიათ შექმნან ერთიანი ფრონტი იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

შორეულ აღმოსავლეთში

ჩინეთი

უცხოელების კონტროლი რკინის გზაზე

პეკინი. 21 აგვის. **უცხოეთის საელჩოების წარმომადგენელთა თათბირზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩინეთის რკინის გზებზე უცხოეთის სახელმწიფოების კონტროლის დაწესების შესახებ.** მხოლოდ იაპონიის დელეგატმა განაცხადა, რომ შეეკითხება თავის მთავრობას.

სტუდენტების კონგრესი

პეკინი. 21 აგვისტო. 15 აგვისტოს კანტონში გაიხსნა ჩინეთის გაერთიანებულ სტუდენტთა კონგრესი. კონგრესზე სუნ-იატ სენმა განაცხადა, რომ ახლობელი ათი წლის განმავლობაში საჭიროა მოხდეს სრული რევოლიუცია და უნდა შეწყდეს ლაყბობა ჩინეთის მშვიდობიანი გზით აღდგენის შესახებ.

ინდოეთში

მუშებმა გაიმარჯვეს.

ქაბული. 21 აგვ. ბირმანის ნავთის სამრეწველო რაიონის მუშების გაფიცვა, რომელიც ოთხი თვე გაგრძელდა, მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ნაციონალური კომიტეტის სასწრაფო სესია.

ქაბული. 21 აგვისტო. სრულიად ინდოეთის ნაციონალური კავშირი ც. კ. იწვევს ოქტომბერში სასწრაფო სესიას, რომელიც გაიხსნება ქ. დელიში. სესიაზე განხილული იქნება უთანხმოება დასის და ძველ პარტიის შორის.

ინდოეთის ნაციონალისტების დატუსაღება.

თეირანი. 21 აგვისტო. ნაგპურში გრძელდება ნაციონალისტების დატუსაღება. დატუსაღებულია 1200 კაცი. ბარმში კანონს გარეშე გამოცხადებულია 35 ფარული ორგანიზაცია.

სხვადასხვა

იტალია

ფიუმეს ავტონომია ენიჭება.

ვენა. 20 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, ფიუმეს ენიჭება ავტონომია, რომლითაც იგი სარგებლობდა უნგრეთის ბატონობის დროს. ალებ-მიცემობის და საზღვრების უზრუნველსაყოფად დაწესდება სანავთსადგურო რეჟიმი. რკინის გზის სადგური, ნავთსადგური და სახელმწიფო დაწესებულებანი იტალიას გადაეცემა.

საბერძნეთი

საბერძნეთი და იტალია.

ბერლინი. 22 აგვისტო. იტალიის ელჩი ათინაში კვლავ შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას. საბერძნეთის პრესა ამ ფაქტს სთვლის დიპლომატიური ურთიერთობის განახლებად იტალიასა და საბერძნეთს შორის.

საფრანგეთმა იცნო საბერძნეთის მეფე.

ბორდო. 20 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობამ იცნო საბერძნეთის მეფე გიორგი. საფრანგეთის წარმომადგენელს დავალებული აქვს მეფეს რწმუნების სიგელი ჩააბაროს.

სამხრეთ სლავია

რადიჩის განზრახვები

ბერლინი. 22 აგვისტო. კროაციის გლეხთა პარტიის ლიდერს რადიჩს განზრახული აქვს აღძრას ერთა ლიგაში საკითხი კროაციის დამოუკიდებლობის შესახებ. მას განზრახული აქვს აგრეთვე გაემგზავროს ამერიკაში და გაავრცელოს კროაციის დამოუკიდებლობის იდეია კროაციის ახალშენებს შორის ამერიკაში.

რადიკალების გამარჯვება.

ვენა. 20 აგვისტო. ძველ სერბიასა, მაკედონიასა და ჩერნოგორიაში საქალაქო არჩევნები მუშათა რადიკალურ პარტიის გამარჯვებით დამთავრდა. **არჩევნების ნიადაგზე მაკროვიცაში სისხლის ღვრა მოხდა სერბიელ ნაციონალისტებსა და მუსულმანებს შორის.**

საფრანგეთი.

ავეჯის დამამზადებელი მუშები პროფინტერნში შევიდნენ.

პარიზი. 21 აგვისტო. **საფრანგეთის ავეჯის დამამზადებელ მუშების უნიტარულმა კავშირმა დაადგინა შევიდეს პროფინტერნში** და აწარმოოს პროპაგანდა ხეზე მომუშავეთა საერთო კონგრესის მოწვევის სასარგებლოდ.

ერთიანი ფრონტის საბოტაჟი.

პარიზი. 22 აგვისტო. ლითონზე მომუშავეთა რეფორმისტულმა კავშირმა უარყო ლითონზე მომუშავეთა უნიტარული კავშირის წინადადება კაპიტალისტების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

ლიტვა.

არ სცნობენ მემელის კონვენციას

კოვნო. 21 აგვისტო. შეკითხვაზე მოაწერს თუ არა ლიტვის მთავრობა ხელს კონვენციას მემელის შესახებ, რომელიც მიიღო ელჩთა კონფერენციამ, სალვანოვსკიმ განაცხადა, რომ ლიტვის მთავრობა კონვენციას ხელს არ მოაწერს.

უცხოეთის ცხოვრება

უნგრეთის მენშევიკები—რეაქციის დამქაშები

სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატი, სამთო-მადნო მუშების ბელადი—პეიერი გამოვიდა ხორტის პარლამენტში ვრცელი სიტყვით საიდუმლო (არალეგალურ) ორგანიზაციების შესახებ.

„მე მოუწოდებ მთავრობას თანაბარი ენერგიით იბრძოლოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე არალეგალურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. მე არ ვფარავ, რომ მოვითხოვ ენერგიულ გამოსვლებს თვით მემარცხენე ორგანიზაციების წინააღმდეგაც ასეთები არიან, ეგრეთ წოდებულ **კომუნისტური ორგანიზაციები.**

ისინი შექმნილი არიან ვენის ემიგრაციის მიერ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეიტანონ განხეთქილება მუშათა რიგებში და აამხედრონ ისინი მათივე ბელადების წინააღმდეგ.

ამ კომუნისტურ ორგანიზაციების გაძლიერება აინტერესებთ ვენის ემიგრანტების წრეებს და ბუდაპეშტის პოლიციას (!).

ამ მოძრაობას პოლიცია ხელს უწყობს და ცდილობს, რომ ის არ ჩაკვდეს.

ამას წინად დაპატიმრებულ იქნენ ახალგაზრდა კომუნისტები და მათ აღმოაჩნდათ საიდუმლო მიწერ-მოწერა, მე მაცნობა პოლიციამ, რომ ჰუნგრეთში მომუშავე კომუნისტებმა მიიღეს წერილები ჩემს შესახებ, მაგრამ პოლიციას არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს და არც კი გამოუქვეყნებია არაფერი. როდესაც მთავრობას და დაწესებულებებს არავითარი საქმე არ აქვთ მემარჯვენე არალეგალურ ორგანიზაციებთან, ისინი ხელს არ ახლებენ კომუნისტებს და კიდევაც აქეზებენ მათ გამოსვლებზე სოციალ-დემოკრატიის და მუშათა კავშირების (!) წინააღმდეგ. ხოლო, როდესაც ჩვენ საჩივარს ვაცხადებთ კომუნისტების წინააღმდეგ (!!), მაშინ დაწესებულებები მათ მფარველობას უწევენ. ხომ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც კომუნისტებმა შესძლეს ზედიზედ ხუთი გაფიცვის მოწყობა, მაგრამ მათთვის ხელიც არ უხლიათ“. (!)

ცხადია, რომ ხორტის სოციალისტებს საკმაოდ არ მიაჩნიათ ის დევნა, რომელსაც განიცდიან მუშები. ისინი ხშირად აყენებენ საჩივრებს და, რაც აშკარად გამომდინარეობს შემოდმოყვანილი ციტატებიდან, მოითხოვენ ხორტისაგან ენერგიულ ზომებს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ჩეხო-სლოვაკია.

მემაღაროების საყოველთაო გაფიცვა.

ბერლინი. 22 აგვისტო. ჩეხო სლოვაკიაში გუშინ დაიწყო მემაღაროების საყოველთაო გაფიცვა. გაფიცულების რიცხვი აღწევს 115,000 კაცამდე.

სამხრეთ-სლავია.

სამხრეთ-სლავიის მეზღვაურთა გამარჯვება

ვენა. 20 აგვისტო. 18 აგვისტოს დამთავრდა სამხრეთ-სლავიის მეზღვაურთა გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა რამოდენიმე კვირის განმავლობაში. მეზღვაურებს და გემის მეპატრონეებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ მოგვარებული უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში მუშაობის განახლების შემდეგ.

საბერძნეთი.

გაფიცვა ათინაში.

ბერლინი. 22 აგვისტო. **ათინაში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა. საბერძნეთის მთავრობამ დაარსა სამხედრო სასამართლო და გარეკა ყველა მუშათა ორგანიზაციები.**

საბერძნეთის მეზღვაურთა გაფიცვა.

ათინა. 20 აგვისტო. საბერძნეთის მეზღვაურთა კავშირმა გამოაცხადა გაფიცვა. შეწყვეტილია მუშაობა ყველა ნავთსადგურებში. მთავრობამ გამოაცხადა მეზღვაურების იძულებითი მობილიზაცია.

კომინტერნის მოწოდება

ბულგარეთის მშრომელთა დასაცავად.

მოსკოვი. 21 აგვისტო. კომინტერნის აღმ. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ბულგარეთში გამეფებულ თეთრი ტერორის შესახებ: „ჯერ არასოდეს არ გამოუცდია ბულგარეთის მუშებსა და გლეხებს ისეთი ტერორი, როგორიც მძვინვარებს ცანკოვის ეხლანდელ მთავრობის, დროს რომელიც ემყარება კაპიტალ. ინგლისის საიდუმლო ინტრიგებს და მე-2 ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ სექციის აშკარა დახმარებას. რამოდენიმე ხნის წინეთ მოწყობილი მუშის და გლეხის პროცესი პლევნაში, რომელიც სამი კაცის სიკვდილის დასჯით და 83 კაცის დაპატიმრებით დამთავრდა, მოწმობს, რომ სოციალიზმის რენეგატები კვლავ გახდნენ პროლეტარიატის ჯალათების პირველ რიგებში: ყველგან, სადაც ძალა-უფლება, რეაქციას უვარდება, სოციალ-დემოკრატები გამოდიან მასზე მტკიცე დასაყრდნობათ“.

კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარულ პარტიებს გამართონ ბულგარეთის მუშებთან სოლიდარობის დემონსტრაცია და არ დაუშვან ბოროტი განაჩენის სისრულეში მოყვანა, თავის მხრივ ბულგარეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა დარაზმონ რიგები თავის დასაცავათ და საერთო მთლიან ფრონტით იბრძოლონ მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის.

მოქ. ი. ი. ივანოვის საქმე

(ჭოგნარელ და საზანოელ მუშების ხმა)

რედაქციისაგან

ჩვენ ვათავსებთ რკინის გზების სამმართველოს და ამ დღეებში დანიშნული კომისიის (იხ. „კომუნისტი“ № 192 წერილი „ი. ი. ივანოვის საქმე“) საყურადღებოთ 34 ამხ. მუშების წერილებს, სადაც მოთხრობილია გულწრფელად მოქ. ივანოვის „მოღვაწეობის“ დამახასიათებელი აღმაშფოთებელი ამბები, რომელთა სისწორეში ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ. ჩვენ უერთებთ ჩვენ ხმას ჯოგნარელ და საზანოელ ამხანაგ მუშების აღელვებას და მოვითხოვთ დანიშნულ კომისიისაგან მოქ. ივანოვის საქმის სასტიკ გამოძიებას, დაინტერესებული მხარის დაკმაყოფილებას და ამ საქმეში დამნაშავის დასჯას.

ჩვენც მოგვისმინეთ და მოგვაქციეთ ყურადღება

გაზეთ „კომუნისტი“-ს 173 ნომერში დაიბეჭდა მოქალაქე კოწია მიქაშავიძის ღია წერილი ამიერ-კავკასიის რკინის გზებისათვის ხე-ტყის დამამზადებელ ილია ივანოვის უკანონობათა შესახებ. წერილის მეორე მუხლში, სხვათაშორის, ნათქვამია იმ მუშების შესახებაც, რომელთაც ხვედრი ნამუშევარი დღემდის არ მიუღიათ. ასეთები თუმცა ბევრია, მაგრამ ყველაზედ უფრო ამათ რიცხვში ჩვენ ჯოგნარში მცხოვრებნი დავზარალდით. ვმუშაობდით მთელი 1922 წლის ზაფხულში თუ ურმით თუ დღიურად მშიერ-მწყურვალნი, ხოლო ანგარიშის გასწორებას, ხვედრი ქირის მიღებას, დღემდის ვერ ვეღირსეთ. ბატონი ილია ივანოვის ამბავი, თუ რა ნაღდი კაციც არის ის თუმცა ვიცოდით ჩვენ (ის აჯამეთში წინედაც მუშაობდა 1918 წ. შეპირება ბევრი იცის—ნამეტურ როცა მთვრალია, ფხიზელს ძნელად ნახავთ—მხოლოდ ასრულება კი არა), მაგრამ სიმშილმა და გაჭირვებამ გვაიძულა გვემუშავა მასთან, რადგანაც ხელსაყრელ ფასებს შეგვპირდა; ლობიოს, სიმინდს, მარილს, ნავთს, თივას საქონლისათვის და ფართლეულობის დათმობას ხელსაყრელ ფასებში. აღნიშნულ საგნებიდან არა მიგვიღია რა, თუ არ ვიანგარიშებთ თითო ოროლა ფუთ სიმინდს, რომელსაც თავში დაგვპირდნენ ფუთს ასი ათას მანეთად, ბოლოს კი მეტ ფასებს გვეუბნებიან, ვინემ იგი ქუთაისის ბაზარზე ფასობდა. სხვა კი არაფერი არ მიგვიღია დღემდის და ეს სწორედ მაშინ, როცა ზოგი ჩვენგანი კიდეც გადაყვა აჯამეთის ტყეში მშიერმწყურვალ მუშაობას: მაგალითად, იროდი ქეზავაძე, რომელიც წინეთ მახურობდა და დაითხოვა ივანოვმა, პირდაპირ მსხვერპლი შეიქმნა ამ სამუშევრის. იგი გაცივდა ღამე ურემზე მძინარე და ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა.

მთელი წელია ხან ვის შევჩივით ჩვენს გასაჭირს და ხან ვის, მაგრამ ვერ ვეღირსეთ ჩვენი ხვედრის მიღებას. ივანოვი კანტორიდგან გვერეკება და გვითითებს მუშაობის გამგე ფურჩხაძეზე. ხოლო ეს უკანასკნელი კიდევ ლადიკო ლანჩავაზე, ლანჩავა კი გვეუბნება: ფული თუმცა ჯერ არ მიგვიღია ივანოვისაგან, მაგრამ კიდევაც რომ მივიღოთ, ფურჩხაძის ანგარიშით მაინც არაფერი გერგებათო. ჩვენ ყურამდის შარშან მოაღწია იმ ამბავმა, რომ ბორჯომში ვიღაც ჩეკის რწმუნებული (გვარი არ ვიცით) იძიებს საქმეს და ქუთაისშიაც ჩამოვა ივანოვის საქმეთა გამოსაძიებლადო, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოიმედე ვიყავით,—ეხლა მაინც მივიღებდით ჩვენ ხვედრ ნამუშევარს; მაგრამ მთელი წელი გავიდა და აქ არავინ მოსულა მას შემდეგ.

ამხანაგო რედაქტორო! ეხლა თქვენ მოგმართავთ დაგვიბეჭდოთ ეს წერილი. ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი მოვითხოვთ ჩვენს ნაოფლარს, რომელიც ბატონ ივანოვს ალბათ უკვე გამოწერილი აქვს სხვის სახელზე, რომელი ხვედრი ქირა უსათუოდ უნდა გაგვინაღდდეს, ვისგანაც ჯერ არის, რა[illegible] ჩვენი [illegible] ახლა მაინც ჩვენი, შრომის მთავრობის [illegible] გილი. მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით ჩვენი ხვედრი, რას გვერჩიან?

P. S. აღნიშნულ ბარათზე ხელი უწერიათ 28 კაცს. დედანს, მათ მიერ ხელმოწერილს, ამასთანავე ვარდგენთ*).

---

*) დედანი ჩვენ ხელთ არის, რედ.

დაუჯერებელი მაგრამ ნამდვილი ამბავი

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ჩვენს ამ მოკლე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში. გაზეთ „კომუნისტი“-ს 173 ნომერში დაიბეჭდა მოქალაქე კოწია მიქაშავიძის ღია წერილი სვანეთ რაჭის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონის უფროსის ილია ივანეს ძე ივანოვის მოქმედებათა შესახებ. წერილის მეოთხე მუხლში ჩვენც საზანოს არტელი, ვართ მოხსენებული. ხსენებული არტელი მუშაობდა როდინოულის ტყეში მთელი სამი თვე და გვქონდა დამზადებული ბლომათ საშუალო მორები. აქედან მცირე ნაწილი ძველმა უფროსმა მიიღო და ხვედრი ქირაც მიღებისთანავე მოგვცა, ხოლო დანარჩენის მიღებას რომ შეუდგნენ, სწორედ ამ დროს იგი გადააყენეს და მის ადგილზე დაინიშნა ივანოვი, რომელმაც მოიყვანა რაჭიდან სამასი (300 კ.) მუშა და შეუსია როდინოულის ტყეს რაიონის მიღებამდე.

სამასმა კაცმა დააფინეს ტყე და ჩვენი მორებიც ქვეშ მოჰყვა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა მათი დათვლა—რა მიზეზითაც ძველმა უფროსმა მათ მიღებაზედ უარი გვითხრა—ჩავცვივდით ივანოვის ხელში—რომელიც მალე შეგვპირდა მორების მიღებას და ხვედრი ნამუშევრის გასწორებას. ამ ხანად შობის დღესასწაულები ახლოვდებოდა და ჩვენც სახლში წავედით,—ხოლო როცა დღესასწაულების შემდეგ ჩვენი არტელის ხელმძღვანელნი წამოვიდნენ ტყეში როდინოულის საქმის ვითარების გასაგებად ნახეს, რომ არტელის მიერ დამზადებული მორები ყველა დაბეჭდილია რკინის გზის ნიშნით. გამოვიკითხეთ და აღმოჩნდა რომ ჩვენი მორები მიღებული და მიუღებელი — ხელახლა მიუღიათ სხვის სახელზე. შევიტანეთ ივანოვთან საჩივარი, დაინიშნა კომისია საქმის გამოსაძიებლად და დამტკიცდა ჩვენი განცხადების სინამდვილე. შესდგა ამაზედ ოქმი და წარედგინა კომისიის მიერ ივანოვს. თუ რა ბედი ეწვია ამ ოქმს ის აღარ ვიცით, ხოლო ჩვენ კი ბევრი ხვეწნა-წვალება-მოლაპარაკების შემდეგ—მივიღეთ ნაწილი ჩვენი ხვედრი ნამუშევრისა, ხოლო ათასი მორის ქირა კი დაგვაკლო ივანოვმა,—რის შემდეგაც მუშაობაზედ ხელი ავიღეთ ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ნათქვამის სინამდვილეს ვადასტურებთ, და მოვითხოვთ,—რომ ასეთ მუშების ღლეტისათვის, ბ. ივანოვი თავის ამალით აუცილებლად უნდა იქნეს დასჯილი. კმარა, ეხლა მაინც აღარ უნდა ჰქონდეს ამგვარ მოვლენათ ადგილი.

ხელს ვაწერთ: 1) დავით აბესაძე, 2) კოტა რობაქიძე 3) ბესარიონ აბესაძე, 4) სანდრო აბესაძე, 5) მიხეილ ბოჭორიშვილი, 6) პლატონ აბესაძე, 7) იესე აბესაძე, 8) ნოშრევან თურქაძე.

არტელის რწმუნებული **სიმონ მიქაშავიძე.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

სამალიარიო სადგური.

ბათომი. 22 აგვისტო. სამალიარიო სადგურმა კვლავ განაახლა და გააფართოვა თავისი მოქმედება. სადგურს შეუძლიან დღეში 400 ავადმყოფის მიღება.

ნავთსადგურში.

ბათომი. 22 აგვისტო. „პესტელ“ მა ოდესიდან მოიყვანა 450 მგზავრი და მოიტანა 12,830 ფუთი სხვადასხვა ტვირთი.

სტამბოლიდან მოვიდა ესპანეთის ნავთის—მზიდველი გემი „ლიუს“ ნავთის ნაწარმოებთა წასაღებად.

ლოტო აკრძალეს.

ბათომი. 22 აგვისტო. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა აკრძალა ლოტოს თამაში, რადგანაც მომეტებულ ნაწილად ლოტოზე დაიარებოდნენ წითელარმიელები და მუშები.

სახალხო კომისართა მცირე საბჭო.

ბათომი. 22 აგვისტო. აჭარის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოსი, შინაგან საქმეთა კომისარიატისა, მიწადმოქმედების კომისარიატის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული. ეს კომისია ფაქტიურად აასრულებს სახალხო კომისართა მცირე საბჭოს ფუნქციებს.

აფხაზეთი.

გარეული ღორები.

სოხუმი. 22 აგვ. გუდაუთის მაზრის სოფ. ზვანდარიშიდან იტყობინებიან, რომ იქ გაჩნდენ ბევრი გარეული ტახები და სიმინდის მოსავალს ანადგურებენ.

აზერბეიჯანი

ბაქოს ტრამვაი

ბაქო 22 აგვისტო. ტრამვაის ლიანდაგის დაგება დიდის სისწრაფით სწარმოებს. ლიანდაგის დასაგებად საჭირო მასალა ყოველ დღე მოდის. პეტროგრადიდან ელექტრო-მანქანების ტრესტი იტყობინება, რომ მასალების პირველი პარტია უკვე გამოგზავნილია ბაქოში.

ნავთის ამოღება.

ბაქო. 22 აგვისტო. აგვისტოს 18—19-ს ბაქოს ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია სულ 1,126,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში მიშვებული იყო 846,000 ფუთი, საქაჩავიდან მიღებული 835,000 დაწმენდილია 175,000 ფუთი, ბურღვაში იყო 165 დაზგა. ჩაბურღულია 170 საჟენი.

ნავთის გაზიდვა ახლო აღმოსავლეთში.

ბაქო 22 აგვისტო. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთისაკენ ნავთის გაზიდვას საქმე შეფერხებულია, რადგ ნაც ნავთის მოხმარებამ საგრძნობლად იკლო მთელს ამ მხარეში საშინელი სიცხეებისა და გადამზიდველობის უნარის უქონლობის გამო. ამ გარემოებამ ბაქოს ნავთის მრეწველობის სინდიკატს საშვალება მისცა ხელი მიეყო შინაური საორგანიზაციო მუშაობისათვის.

სპარსეთში გაუტანიათ ნავთი ენზელისა, ჩიმალისა და ასტასას ნავთსადგურებით და აგრეთვე რუსეთის ჯულფის რკინის გზით. სპარსეთში გატანილია 100,000 ფუთზე მეტი ნავთი, ჯულფის გზით კი 7,196 ფუთი სხვადასხვა ნავთის ნაწარმოები. ეხლა გუმბრისათვის გამზადებულია 2000 ფუთი ნავთი, მაღაროებისათვის — 600 ფ. ბათომის გზით ევროპაში გაგზავნილია 1,209,905 ფუთი ნავთი, 47,372 ფ. ბენზინი, 343,614 ფ სამანქანო ზეთი, 12,796 ცილინდრის ზეთი, აზერბეიჯანის შინაურ ბაზარზე გაყიდულა 20,000 ფ. კეროსინი, 95,090 ფ. ნავთი და 90 ფუთი ნავთის სხვა ნაწარმოები. ივლისის განმავლობაში შინაურ ბაზარს მიეცია 1,675,739,330 მანეთი 1923 წ ფულის ნიშნებით, 9,012,577,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებათ და 3,336 ჩერვონცებით.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიისაგან

1923 წლის 20 აგვისტოს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ განიხილა ა.-კ. საგანგებო კომისიის ჯარების ტფილისის მცველ მხლებელთა რაზმის მეთაურთა, პოლიტიკურ და წითელ-არმიელთა შემადგენლობის საქმე. მათ ბრალდებოდათ რაზმის გახრწნა, სანოვაგის, ტანსაცმელის და სახაზინო ფულების გაფლანგვა, მექრთამეობა, რაზმის წესდების დარღვევა და სპეკულიაცია პატიმართა გაცილების დროს.

პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი:

1. მცველ-მხლებელთა რაზმის ყოფილი უფროსი ეხლა კი ა.-კ. საგანგებო კომისიის ჯარების მცველ-მხლებელთა რაზმის ინსპექტორი ვლადიმერ ლეონტის ძე ბერაძე.

2. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების შტაბის მომარაგების ინსპექტორი დანიელ მათეს ძე ბლიუმენტალი.

3. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების ტფილისის მცველ-მხლებელთა რაზმის უფროსი დავით ისიდორეს ძე სარჯველაძე.

4. ა.-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების ტფილისის მცველ-მხლებელთა რაზმის სამხედრო კომისარი გიორგი ივანეს ძე მუმაკოვი.

5. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების მცველ-მხლებელთა რაზმის სამეურნეო ნაწილის გამგე—აკაკი (იგივე ვლადიმერ) დიმიტრის ძე ნინუა.

9. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების ტფილისის მცველ-მხლებელთა რაზმის ხაზინადარი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე კაკულია.

7—8 ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების მცველ მხლებელ რაზმის მწყობრის უფროსები: ანდრია ივანეს-ძე ჩარექოვი და კამალ გიორგის ძე აპრესოვი და მთელი რიგი სხვა პირებისა.

გამოძიებიდან შემდეგი გამოირკვა: 1922 წლის ივნისში საპატიმრო ვაგონების შეკეთების დროს მცველ-მხლებელთა რაზმის უფროსმა ბერაძემ კედლებში და ჭერზე მოაწყო საიდუმლო ხვრელები პატიმართა ვაგონში შემოსატანად აკრძალულ ნივთების და საქონლის შემოსაპარებლად. რაზმის უფროსი ბერაძე ხშირად სარგებლობდა ამ ხვრელებით მოსკოვში სპირტის სასმელების გასატანად. საჭირო თანხები ბერაძეს გაჰქონდა რაზმის სალაროდან.

როცა ბერაძე დაინიშნა რაზმის ინსპექტორად, რაზმის უფროსის თანამდებობა დაიკავა სარჯველაძემ. სამხედრო კომისარ ჩუმაკოვთან, სამეურნეო ნაწილის უფროს ნინუასთან, მოლარე კაკულიასთან და მწყობრის უფროს ჩარექოვთან და აპრესოვთან ერთად ეწყობა მოსკოვში და სხვა ქალაქებში სპირტის სისტემატიურად გატანა და უკან საქონლის წამოღება.

საჭირო თანხები აღნიშნულ კომპანიას მიჰქონდა რაზმის სალაროდან, წითელ არმიელები კი თვეობით უჯამაგიროთ რჩებოდენ.

მოგებულ ფულს იყოფდენ ურთიერთის შორის.

ხელგაშლილათ ცხოვრებამ წაართვა მათ საშუალება შეევსოთ სალაროდან წაღებული თანხები და იწყება საქონლისა და სამხედრო ტანსაცმელის გატაცება, ადგენენ ფულის ფიქტიურ საბუთებს, იწყება მექრთამეობა, განსაკუთრებით მივლინების დროს პატიმართა გასაცილებლად, ირღვევა სამსახურის წესდება, პატიმრებს უმეთვალყუროდ უშვებენ სადგურებზე გაჩერების დროს, რასაც მოყვა ზოგიერთ პატიმართა გაქცევა.

თავიანთ ბნელ საქმეებში აღნიშნულმა პირებმა ჩაითრიეს რაზმის საქმის მწარმოებელი ოსიკოვსკი და სამი წითელარმიელი: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხეთაგური, ბესარიონ სტეფანეს ძე დანიელიანცი და გალუსტ გეურქას ძე იარალოვი.

ბოროტმოქმედების აღმოჩენის დროს დაინიშნა კომისია, რომელშიც შევიდენ იგივე მცველ-მხლებელთა რაზმის ინსპექტორი ბერაძე და ამიერკავკასიის საგანგებო ჯარების შტაბის მომარაგების განყოფილების ინსპექტორი ბლიუმენტალი.

რევიზიის მოხდენისა და ბოროტმოქმედების ფაქტების აღმოჩენის ნაცვლად ბერაძე და ბლიუმენტალი უახლოვდებიან სამეურნეო ნაწილის გამგე ნინუას და სხვა პირებს, სახაზინო ფულებით აწყობენ ქეიფს, აძლევენ რჩევას, თუ როგორ გამოვიდნენ მძიმე მდგომარეობიდან, იღებენ ქრთამებს და ჰპირდებიან, რომ მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რაც კი მათზეა დამოკიდებული, რომ დაფარონ ბოროტმოქმედება.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგია, აღიარებს რა ტფილისის მცველ-მხლებელთა რაზმის გახრწნას, სამხედრო — ტანსაცმელის დატაცებას, სალაროდან სახაზინო ფულების გაფლანგვას, სპეკულიაციას, რაზმის წესდების დარღვევას, ფულის ყალბ საბუთების შედგენას, ფიქტიურ მივლინებათა გამოწერას, წითელარმიელებისათვის ჯამაგირების გამოწერის დაგვიანებას, ამ ჯამაგირების გამოყენებას სპეკულიატიური მიზნებისათვის, რასაც შედეგათ მოყვა უკმაყოფილება აღნიშნული რაზმის წითელარმიელებს შორის და დისციპლინის დაცემას, სთვლის ამას დამტკიცებულათ, რის გამო

ადგენს:

დავით ისიდორეს ძე სარჯველაძეს, ვლადიმერ ლეონტის ძე ბერაძეს, გიორგი ივანეს ძე მუმაკოვს, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე კაკულიას, აკაკი (იგივე ვლადიმერ) დიმიტრის ძე ნინუას, დანიელ მათეს ძე ბლიუმენტალს, ანდრია ივანეს ძე ჩარექოვს და ქამალ გიორგის ძე აპრესოვს **მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.** ალექსი ვიკენტის ძე ოსიკოვსკის, სამეურნეო ნაწილის საქმის მწარმოებელს, იმისათვის, რომ მან დაუმალა სარევიზიო კომისიას ცნობები დანაკლისის შესახებ სამეურნეო ნაწილში და აგრეთვე ფულის ანგარიშების ბოროტათ წარმოებისათვის და მონაწილეობის მიღებისათვის იმ ქეიფში, რომელიც მოაწყო ნინუამ და სარევიზიო კომისიის წევრებმა ბერაძემ და ბლიუმენტალმა **მიესაჯოს ხუთი წლის იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთით.**

მოსე არუთინის ძე ბათმანიანს, ა.-კ. საგანგ. კომისიის ჯარების მხლებელ-მცველთა კომანდის ტფილისის ფურნის გამგეს, იმ ფურნიდან სახაზინო ფქვილის გაყიდვისათვის პირადი საჭიროებისათვის 167 ფუთის რაოდენობით, რომლის გამგეც ის იყო, **მიესაჯოს ორი წლის იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთით.**

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხეთაგურს, ბესარიონ სტეფანეს ძე დანიელიანცს და გალუსტ გეორქის ძე იარალოვს, იმავე კომანდის წითელარმიელებს, რომლებიც იღებდენ მონაწილეობას სპირტისა და სხვა საქონლების გაზიდვაში პატიმართა გაცილების დროს, უფშემადგენლობის ბოროტმოქმედებათა დაფარვისათვის, იღებს რა მხედველობაში აღნიშნულ წითელარმიელების შეუგნებლობას, რომელნიც დააყენა ბოროტმოქმედებათა გზაზე მეთაურთა შემადგენლობამ—**მიესაჯოს ერთი წლის იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთით.**

პირველ რვა ბოროტმოქმედთა მიმართ განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(23 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	32,000
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2,300
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	31,800
ჩეკები —	29,400
დოლარები ეფექტ. —	6,900
„ ჩეკები —	6,300
ოსმ. ქალ. ლირა	4,400
იტალიური ლირა — —	230
ფრანგული ფრანკი —	153
საბჭ. ფულის ნიშ.	19

მუშკოოპის ფასები.

(23 აგვისტო).

პური გირ.—150 ათ. ნატეხი შაქარი—1.600 ათ., ფხვნილი შაქარი—1.250 ათ. ძროხის ხორცი—550. ცხვრის ხორცი—700. თუშური ყველი 700 მაკარონი—450. ვერმიშელი—425. ერევნის ბრინჯი—375. წითელი ლობიო—50. კართოფილი—75

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკური პარტიის დაშლა

ყოფ. მენშევიკების შორაპნის სამაზრო კონფერენცია

17 აგვისტო ისტორიული დღეა შორაპნის მაზრის ყოფილ მენშევიკებისათვის. ამ დღეს მოწვეული იყო სამაზრო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა სამაზრო საინიციატივო ბიუროს სახელით ყოფილ მენშევიკმა—ვასო სიხარულიძემ. მან გააცნო დამსწრეთ ის პირობები, რომელმაც სწორე, ჭეშმარიტ გზაზე დააყენა მენშევიკურ პარტიის ყოფილი წევრები. მართალია, დღემდი ისინი მისდევდენ მენშევიკურ პარტიის ტაქტიკას, რომელიც ასცდა რევოლიუციის გზას, მაგრამ დღეიდან კვლავ დაიწყებს მათში ჩქეფას რევოლიუციონური სისხლი და დაადგებიან ჭეშმარიტ გზას, რომელიც მათ წინეთ შემცდარი ეჩვენებოდათ.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: 1. ხვედელიძე სიმო, 2. მიქაძე იოკინთე, 3. ლაბაძე ივანე, 4. კუპატაძე მანუელ, 5. ცნობილაძე ივანე, 6. მაჭავარიანი ვანო, 7. ზედგინიძე, 8 გოგიაშვილი კონდრატი და 9. მგელაძე ანტიპა.

კონფერენციის მიერ საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ: ლენინი, ტროცკი, სტალინი, მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე და ალექსანდრე ვაშაძე.

პირველათ მოხსენებით გამოვიდა ლუკაშვილი—„ბოლშევიზმისა და მენშევიზმის“ შესახებ მან გაიხსენა რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ჩამოყალიბება და მისი განვითარების ყველა ეტაპები. განსაკუთრებით კი 1903 წლის განხეთქილება და ბოლშევიზმ-მენშევიზმის წარმოშობა, იმპერიალისტური ომის ხანა და მეორე ინტერნაციონალის ბელადების ღალატი მუშათა კლასისადმი და ბურჟუაზიისადმი მიმხრობა და სხვა.

მან თავისი მოხსენება დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: გაუმარჯოს იმ გზას, რომელიც შეაერთებს მშრომელ ხალხს და დაამხობს ბურჟუაზიულ წესწყობილებას მთელ მსოფლიოში.

ეროვნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა ეროვნულ საკითხის მდგომარეობა მონარქიზმის დროს, როდესაც საქართველოში რუსიფიკაცია სწარმოებდა. აღნიშნა აგრეთვე საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობა და ხან გერმანიის, ხან ინგლისის ჯარის თარეში. მაგრამ ამ სახელმწიფოების ოკუპაცია „არ სჩანდა“, რადგან მენშევიკურ პარტიის გეზი სრულიად ეთანხმებოდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებისას და ამ ოკუპაციას ის მეგობრობათ უხსნიდა ხალხს

დაბოლოს მან სთქვა: გაუმარჯოს იმ წითელ ლაშქარს, რომელმაც გაანთავისუფლა ქართველი ერი ანტანტის ოკუპაციისაგან.

შემდეგ მენშევიზმის თანამედროვე მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა კვიცარიძემ. მან ვრცლად დაახასიათა მენშევიზმის მდგომარეობა, მისი რევოლიუციის გზიდან გადახვევა და უფსკრულისაკენ დაქანება.

მან მოიგონა მეტეხის ციხეში მჯდარი მენშევიკები, მათი მოხსენებები „ბოლშევიზმი თუ მენშევიზმი“ „ბოლშევიზმი თუ მილიუკოვის მთავრობა“. მან სთქვა, რომ ისინი დიდ უკიდურესობამდი მიდიოდენ ბოლშევიზმის დაცვაში. იმ შეკითხვაზე კი, თუ რისთვის არ დასტოვებენ ისინი პარტიას, პასუხს იძლეოდენ, რომ დაგვწამებენ რეპრესიების შიშსო და სხვა. ისინი თავის მრწამსში შერყეულნი, მაინც რჩებოდენ მენშევიკურ პარტიის მომხრეებათ. მოიგონა აგრეთვე მენშევიკური პარტიის ლიდერების ბრძოლა ილია ჭავჭავაძის და ფეოდალების წინააღმდეგ და შემდეგ კი მათთან შეხმატკბილება.

შემდეგ შეეხო ეროვნულ საკითხს და მოიგონა ტროცკის სიტყვები: „ფედერაცია იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველოში რკინის გზაზე რუსულათ ლაპარაკობდენ“.

მოხსენებების გარშემო გაიმართა შეკითხვები და ბოლოს მიღებული იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

ჩვენ შორაპნის მაზრის მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენციამ, მოვისმინეთ რა მოხსენება თანამედროვე მომენტზე და მენშევიკურ პარტიის ტაქტიკაზე, რომელსაც ის აწარმოებს ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, დავადგინეთ:

1) მენშევიკური პარტიის ძირითად შეცდომად უნდა ჩაითვალოს ოქტომბრის რევოლიუციის უარყოფა.

2) ბრძოლა კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც სარდლობს მსოფლიო რევოლიუციას, იყო და არის მიმართული რეაქციის საკეთილდღეოდ. ყოველგვარი ოპოზიცია, მიმართული მუშათა ხელისუფლების წინააღმდეგ, ნიადაგს უმზადებს რეაქციას რესტავრაციას და ასამარებს ერთა დამოუკიდებლობას.

3) საქართველოს დამოუკიდებლობა შეუძლია განამტკიცოს მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციას და ჩვენი ქვეყანა გარეშე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა შეიძლება გახდეს უკეთეს შემოხვევაში ანტანტის ახალციენად.

4) დღევანდელი ტაქტიკა არა ლეგალური მენშევიკურ ცეკასი არის პოლიტიკა ინტერვენციისა, დაყრდნობა იმპერიალისტურ ძალებზე რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

5) ვინაიდან ამგვარი ტაქტიკა უარყოფა და ფეხით გათელვაა იმის, რასაც ემსახურებოდა სოციალ დემოკრატია თავის მოღვაწეობის ბრწყინვალე ხანაში, ჩვენ ვგმობთ ასეთ ოპოზიციას, დაშლილად ვაცხადებთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის შორაპნის სამაზრო კომიტეტს და ადგილობრივ ორგანიზაციებს.

გაუმარჯოს გაერთიანებულ მუშათა ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მე-3-ე კომინტერნს.

დაბოლოს არჩეულ იქნენ დელეგატებათ სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობაზე შემდეგი პირები: 1. მიქაძე იოკინთე, 2. ზვიადაძე სილიმონ, 3 მაჭავარიანი, 4. არევაძე კოლია, 5. შონიაძე საშა, 6. ხვედელიძე სიმონ, 7. ცერცვაძე სამსონ, 8. გორდაძე სილოვან, 9. კავთელაძე იაგო, 10. გიორგაძე. ხოლო მათ კანდიდატებათ 1. კუპატაძე პავლე, 2 ცირეკიძე ნიკო, 3. ბარბაქაძე გიორგი.

კონფერენციის გათავების შემდეგ ინტერნაციონალით, დელეგატების მიერ გაიმართა დემონსტრაცია ქალაქში სალამოთი კი დელეგატებისათვის და მუშებისათვის უფასოთ დადგმულ იქნა პიესა—ოპერეტა „მენშევიკები პარიზში“, რომელმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

სია დელეგატების, რომლებიც დაესწრენ ყოფ. მენშევიკების შორაპნის მაზრის კონფერენციას.

ხარაგოულის თემი.

პეტრე ზედგინიძე 1917 წ., ნიკოლოზ სახუაძე 1905 წ., სერგო ტაბატაძე 1905 წ., ევგენი თხელიძე 1903 წ.; შალვა ფაიქრიძე 1917 წ.; შალვა ყაველაძე 1919 წ., პავლე ჯიმშიაშვილი 1917 წ, სელიმე ზვიადაძე 1900 წ, ნიკოლოზ ცხადაძე 1900 წ. იპოლიტე კიკნაძე 19 7 წ., გიორგი ბარბაქაძე 1903 წ, ექიფო ეფხვაძე 1903 წ., კოლა არევაძე 1905 წ, იაგორ წიქარიშვილი 1905 წ., ისაკა ბარბაქაძე 1903 წ., იოველ სებისკვერაძე 1917 წ., აბესალომ ციციშვილი 1917 წ., ალექსი ლომიძე 917 წ., კოლია გოგოლაძე 1905 წ., დათიკო ლომსაძე 1904 წ., ალექსი გაჩეჩილაძე 1905 წ.

შორაპანი.

ლეონტი ჭიპაშვილი, ივანე ცნობილაძე 1907 წ, კონსტანტინე აბუთიძე 1904 წ., ივანე გოგიაშვილი 1907 წ., ვასო მაჭავარიანი 1902 წ., დავით კვინიკაძე, ვლადიმერ დიაკონიძე, 1912 წ., მიხეილ მშვენიერაძე, ვასილ ჭანკოტაძე.

ზესტაფონი.

კალისტრატე გურული 1917 წ., ანტიპა მგელაძე 1902 წ., კალენიკე ჭეპინაძე 1917 წ.

ჩხარის თემი.

ბარამ თორქაძე 1904 წ, მანუილ კუპატაძე 1905 წ, კონსტანტინე მაჭარიძე 1907 წ., ნიკიფორე ჩხენკელი 1917 წ., კოტე გოგიაშვილი 1905 წ., ვლადიმერ ჭანტურიძე 1917 წ., ალექსანდრე აბულაძე 1917 წ., საშა შონიაძე 1917 წ., ვარლამ საჩიხიძე 1917 წ, ევგენი კარატი 1917 წ., გალაქტიონ ძიძიშვილი 1917 წ.

ჭიათურა.

ნიკო ცირეკიძე 1905 წ., იაკო კავთელაძე 1914 წ, ბიქტორ ტყეშელაშვილი 1901 წ, ილარიონ ჩუბინიძე 1917 წ., იპოლიტე ცერცვაძე 1902 წ., რაჟდენ კოკაშვილი 1917 წ., ვანო გოგიბაშვილი 1905 წ.

კარიტოვის ქარხანა

იაკინთე მიქაძე 1904 წ., დავით ქემონარაძე 1905 წ., კოლია ტყავაძე 1918 წ., აბესალომ ნეფარიძე 1903 წ., ლადიკო ნეფარიძე 1918 წ., ლევან ნადირაძე 1916 წ., ლადიკო იაკობიძე 1910 წ, გიორგი ნოზაძე 1919 წ.

ფორუდის ქარხანა.

ანტონ გაფრინდაშვილი 1901 წლ.

სამხარაძეს ქარხანა.

ისმაილ ჩავაძე 1917 წ.

საგანგებო სამმართველოს მაღარო.

ტარასი სამხარაძე 1919 წ., ალექსანდრე გურული 1917 წ., გერმანე აბრამიშვილი 1918 წ

ხვანიშვილის მაღარო.

სიმო ხვედელიძე 1905 წ., დანიელ კუპატაძე 1917 წ., სილოვან გორდაძე 1905 წ.

მადნეთის მაღარო.

სამსონ ცერცვაძე 1913 წ.

პერევისის თემი.

ლავრენტი ხარაიძე 1902 წ.

მერევის თემი

ივანე ლაბაძე 1914 წ, ვასილ ლაბაძე 1918 წ.

ჩხიროულის თემი.

ლადიკო ჩინჩალაძე 1918 წ., ივანე კაპანაძე 1918 წ.

ხრეითის თემი.

ნესტორ აბესაძე 1905 წ.

კაცხის თემი.

იასონ მოდებაძე 1905 წ., რაფიელ ჩიხლაძე 1906 წ., კარონა მოდებაძე 1905 წ.

წირქვალის თემი.

სერგო გურული 1910 წ., სერგო მიროტაძე 1905 წ, გიორგი ჭეპანიძე 1904 წ., პორფირე გურული 1905 წ, ექვთიმე გურული 1910 წ., იპოლიტე ნადირაძე 1917 წ., სპირიდონ გურული 1905 წ., ვასილ სამხარაძე 1917 წ, სევასტი ჭეჭანიძე 1904 წ., სანდრო ჭილაძე 1917 წ, შალიკო ბრეგვაძე 1917 წ, სიმონ დემეტრაშვილი 1916 წ., გიგო გურული 1905 წ., სიკო აბესაძე 1917 წ., მინა ბართაიშვილი 1905 წ, მიხაკო მაჭავარიშვილი 1918 წ, საჩინო ხვედელიძე 1917 წ., სილიონ გაფრინდაშვილი 1917 წ., კოლია გამყრელიძე 1917 წ., პეტრე გაბრიჭიძე 1903 წ.

საჩხერის თემი.

ექიპო მეთოიძე 1917 წ., გრიშა გაფრინდაშვილი 1917 წ, ნექტარიონ ჭილაძე 1917 წ.

ხარაგოული.

ლომსაძე დათიკო 1904 წ., გაჩეჩილაძე ალექსი 1905 წ.

პამიდორი—250. ხახვი—125. ქვამარილი—150. საპონი „ტოლლე“—800. ბადრიჯანი ც. 25. კვერცხი—65 ათ. ც. ზეთი—700.

ტფილისის ბაზრის ფასები

(23 აგვისტო).

პური 1 ხარ.—250 პური 2 ხარ. 150. ფქვილი 1 ხარ.—350. ნატეხი შაქარი—1.700-1,800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1.350. ერბო 1.400—1.800 ათ. კარაქი—1.600—1 800 ათასი. ზეთი—900 ათასი. თუშური ყველი—800-900. იმერული ყველი—600 ათასი. ძროხის ხორცი 450—550, ცხვრის ხორცი—700. კართოფილი—80—100. წითელი ლობიო—70—80. მწვანე ლობიო—100. პამიდორი 250—300. კომბოსტო—150. საპონი—850—900.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(23 აგვისტო).

ფხვნილი შაქარი რუსეთის. ხმელი ნარმა 16 ვერშ. კანიფოლი ბორჯომის. ფრანგული გაწმენდილი სკიპიდარი. იტალიანური კონსერვები. გაზისა და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. საფეიქრო-საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(23 აგვისტო).

ნარმა ხმელი 16 ვერშ. უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ყუბანისა და ადგილობრივი ფქვილი. სალამასი კრასნოდარის. ცემენტი პორტლანდის. ნედლი ტყავები შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი, ინგლისური შაბიამანი, ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა-მარილი, ტომრები, ცეილონის ჩაი, გოგირდი „ბუდა“. ყუბანისა და ადგილობრივი ხორბალი, კარტონები, კალა, საკვები ფქვილი, ქერი, მზესუმზირას ზეთი რუსეთის.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

თბილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 23 აგვისტოს: ხორბალისა და პურის პროდუქტების და შაქრის ბაზრებზე უცვლელია; დანარჩენ 6 ბაზრებზე—განწყობილება მტკიცეა.

კოოპერაცია

ბათომის მთლიანი მომხ. საზ-ბის რწმუნებულთა ყრილობა

რთველოს კოოპერატივთა ცენ-
ი კავშირის გამგეობამ შემ-
შა მიიღო ბათომის მთ-
ხმ. საზოგადოების რწმუ-
ყრილობისაგან:
თომის მთლიანი მომხმარე-
ა საზოგადოების რწმუნე-
თა ყრილობა ესალმება ცეკა-
რის გამგეობას, როგორც მშრო-
თა კოოპერაციის ღირსეულ ხელ-
ღვანელს საქართველოში და ღრმად არის დარწმუნებული, რომ თქვენი ხელმძღვანელობით მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოება სწრაფი ნაბიჯით წავა წინ და თავის სწორი კოოპერატიული მუშაობით მოიხვეჭს აჭარისტანის ფართო მშრომელი მასების სიმპატიას.

გაუმარჯოს ცეკავშირს! გაუმარჯოს ბათომის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოებას!

ყრილობის პრეზიდიუმი.

საუბარი რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარ ამხ. სემაშკოსთან

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს რ. ს. ფ ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. სემაშკომ შემდეგი განაცხადა თავის შთაბეჭდილებების შესახებ საქართველოში მოგზაურობის დროს:

„პირველი შთაბეჭდილება, რომელიც, იმედი მაქვს მე პირველს არ მიმიღია, ეს—კავკასიის დიდი, აურაცხელი სიმდიდრეა. ჩემი წამოსვლის წინ ლაპარაკი იყო კავკასიაში სამეცნიერო ექსპედიციის გამოგზავნის შესახებ აკადემიის ცნობილ პროფესორის პ. ბ ლაზარევის თავმჯდომარეობით, რომელიც ამჟამად კურსკის მაგნიტის ანომალიის გამომრკვევ მუშაობის ხელმძღვანელია, ექსპედიციის მიზანი უნდა ყოფილიყო კავკასიის მინერალურ წყლების გამოკვლევა. ჩემის აზრით, მართალი იყო მეორე მეცნიერი პ. გ. საზონოვი, რომელიც თავის აღფრთოვანებულ წერილებში კავკასიის შესახებ, რომელნიც მოთავსებული იყვენ ს. ს. რ. და სრულიად რუსეთის ცაკის „უწყებებში“, წინასწარმეტყველებდა მოულოდნელ „ანომალიების“ აღმოჩენას კავკასიაში. მომავალი უეჭველად გაამართლებს ამ წინასწარმეტყველებას. და თუ წინეთ ეს ბუნებრივი სიმდიდრენი კერძო პირების ხელში იყო და მათ ამუშავებდენ იმდენათ, რამდენათაც ისინი ხელს უწყობდენ ამ უკანასკნელთა გამდიდრებას, ეხლა, საბჭოთა წესწყობილების დროს, ყველა ეს სიმდიდრენი ეკუთვნის მშრომელ ხალხს და თვით ხალხია დაინტერესებული მათ უკეთესად გამოყენებაში.

საქართველოს საკურორტო სიმდიდრენი განუსაზღვრელია და ჯერ კიდევ გამოურკვეველი. ისეთი კურორტები, როგორც აბასთუმანი თავისი კლიმატიური სადგურით, ბორჯომი მის მინერალურ წყლებით, ერთად ერთი არიან ჩვენს კავშირში და შეუძლიანთ კონკურენცია გაუწიონ ევროპის საუკეთესო კურორტებს.

სიხარულით უნდა აღვნიშნო, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროშიაც საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო ამ მძიმე წლებში მშრომელთა უზრუნველყოფისათვის პირველ ყოვლისა—მუშების.

ვის გაუგონია მეფისა და მენშევიკების ბატონობის დროს დედობისა და ბავშობის დაცვისა, სოციალურ ავადმყოფობათა (ჭლექი და სიფილისი) წინააღმდეგ ბრძოლისა, დახმარების სპეციალურ სახეებ სა (ფიზიატრიის ინსტიტუტი) და ისეთ მშვენიერ საავადმყოფოს შესახებ, როგორიც კამოს სახელობის საავადმყოფოა?

ამაზე საქართველოს მოსახლეობას წინედ არც კი გაუგონია. ყველაფერი ეს შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ, მშრომელთა ხელისუფლებამ.

და საქართველოს კურორტებზე, სადაც წინედ მსხვილი ბურჟუაზია სუქდებოდა, სასახლეებში, სადაც წინედ თავადები მიხეილი და გიორგი ქეიფობდენ, ეხლა ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები იმრთელებენ თავის შრომითა და ომით დაუძლურებულ ჯანმრთელობას. სანატორიუმების დათვალიერების დროს მე არც ერთი საყვედური არ გამიგონია ავათმყოფთაგან.

ასეთი გამარჯვების შემდეგ კულტურის ერთერთ ფრონტზე, ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე, ვინ გაბედავს უარყოს საბჭოთა წესწყობილების კულტურული მნიშვნელობა.

საქართველოს მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ საძირკველს უყრის თავის კომუნისტიურ შენობას. როგორი პერსპექტივები, როგორი გაქანება ელის ამ აღმშენებლობას მომავალში.

ვსჭვრეტ რა ამ მშვენიერ მომავლს, მე წრფელის გულით ვუსურვებ საქართველოს საბჭოთა მთავრობას, რომ მან მომავალშიაც ეგრე მტკიცეთ უხელმძღვანელოს კომუნისტურ აღმშენებლობას.

„ოქროს ვერძი“, რომელზედაც ოცნებობდენ ძველები,—ეს არის კომუნიზმი კავკასიაში“.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ შრომის სახალხო კომისარიატიდან

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 22 აგვისტოსთვის

ა/ქ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილება № 52 საფუძველზე, ს. ს. ს. რ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის ქვალობაზე ა/ქ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 აგვისტოსათვის განისაზღვროს 55,838,490 მ.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 5 584,000 მან. ა/ქ. ფულის ნიშნებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

ქრონიკა

— **სეტყვა ახალქალაქის მაზრაში.** უკანასკნელ დღეებში ახ.-ქალაქში მოსულმა დიდმა სეტყვამ გააფუჭა 953 ქცევა ნათესი. დაახლოვებით დაღუპულია მოსავლის 80 პროცენტი.

— **თოვლი სამხრეთ-ოსეთში.** აგვისტოს შუა რიცხვებში ჩამოთოვა სამხრეთ-ოსეთის მთა-გორიანი ადგილები.

— **საბაზრო ფასები მაზრებში.** უკანასკნელ ცნობების მიხედვით საბაზრო ფასები მაზრებში შემდეგია: გორში — ხორბალის 2,200,000—2,500,000 მ., ქერის—1 მილ., 1 მ. და 200 ათასი, სიმინდის—800—900,000 მ. თელავში: ხორბალის ფასი უდრის 2,500,000 მან.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური ახალ ციხეში.** ახალ-ციხეში უკვე შეუდგნენ ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენებას მდინარე ფოცხოვზე. ამ დღეებში მოელიან ნოვოროსიისკიდან სადგურის ასაშენებელ მასალას.

— **მდინარე თურდოს ნაპირების გამაგრება.** კახეთში დაიწყო მუშაობა მდინარე თურდოს ნაპირების გასამაგრებლათ, რომ დაცული იქნას მახლობელი სოფლები წყალდიდობისაგან.

— **საქართველოში სომხეთის დამხმარე კომიტეტის ახალი განყოფილებები.** საქართველოში სომხეთის დამხმარე კომიტეტმა თავის ფილიალური განყოფილებები გახსნა ახალციხეში და სოხუმში.

— **მუშათა დასასვენებელი სახლები.** მუშათა დასასვენებელი სახლები დაიხურება 1 ნოემბერს. დასასვენებელ სახლებში იარსებებს მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ბორჯომში.

— **შრომის ბირჟა** 22 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 407 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 120 კაცი. სამუშაოზე გაიგზავნა 173 უმუშევარი.

— **უბედური შემთხვევა.** 21 აგვისტოს მე-5 სამილიციო ნაწილში (ბოტანიკური ბაღის ქ. № 9) სახლის აივანიდან გადმოვარდა შარაბან ჰასანოვის ცოლი, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა.

— **მტკვარში გადავარდნა.** 21 აგვისტოს მეჩეთის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ვიღაც უცნობი მოქალაქე.

— **ქურდი შვილი.** მე-4 სამილიციო უბანში, (საზოგადოების ქ № 34) 21 აგვისტოს გაქურდული იქნა მოქ. აკოპჯანოვის ბინა თავისივე შვილის ავეტიქ აკოპჯანოვის მიერ. მიღებულია ზომები დამნაშავის შესაპყრობათ.

— **გვამის პოვნა.** 21 აგვისტოს მე-11 სამილიციო უბანში, რკინის გზის მახლობლად აღმოჩენილი იქნა ახალგაზრდა კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ერლამ ხვადალიანი. სწარმოებს მკვლელის აღმოსაჩენად კვლევა-ძიება.

— **ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის გაქურდვა.** პლეხანოვის ქუჩაზე № 102 ბოროტ-გამზრახველებმა გაქურდეს ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი, საიდანაც წაიღეს რამდენიმე ასეული მილიონის ღირებულების ნივთები.

— **აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში.** აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალმა გაარჩია ვაქარ გულამ მეჰმედ-ოღლის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ველურად მოკვლა ცოლის. რევტრიბუნალმა ბრალდებულს მიუსაჯა 2 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით.

— **დაკარგვა.** მოწმობა მოცემული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან № 732 ირაკლი ბესარიონის ძე გაბუნიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ყოფილ მენშევიკთა ბიულეტენი.** გამოვიდა მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა სრ. საქართველოს ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ბიულეტენი შემდეგი შინაარსით: 1) მომავალი ყრილობის შესახებ (მეთაური), 2) დიაღ, ჩვენ მეშვრები, მოსყიდულები ვართ —აკ. ჭყონიასი, 3) საბჭოთა ხელისუფლების ბუნება და აღმშენებლობა —ფელეტონი—არ რუხაძის, 4) კახეთში - ა. რუხაძის, 5) დამფუძნებელ კრების ყოფ. წევრის, ძველი სოც.-დემოკრატის ამხ. დიმ. გონაშვილის წერილი სიღნაღის ყოფ. მენშევიკების კონფერენციისადმი, 6) წკიპურტი და სხ.

ხელოვნება

სიმფონიური მუსიკის საღამო მუშათა კლუბში.

პროგრამის პირველი განყოფილება მიძღვნილი იყო ნორვეგიის კომპოზიტორების გრიგის და სვედსენის ნაწარმოებებისათვის,—მეორე კი რუსეთის კომპოზიტორების არენსკისა და ბოროდინისათვის.

ედვარდ გრიგი ეგრედწოდებულ „ჩრდილოეთის სკოლის“ ყველაზე უფრომკაფიო წარმომადგენელია. „ნორვეგიის ბულბული“,—„ჩრდილოელი შოპენი“,—აი გრიგის პოპულიარული სახელწოდება. გრიგის შემოქმედება თავისებურია, მისი მელოდიები ორიგინალურია და თავის განსაკუთრებულ სტილს შეადგენენ; იგივე ითქმის გრიგის ნაწარმოებების რიტმის შესახებაც. გრიგის მნიშვნელობა ნორვეგიაში უდრის გლინკას მნიშვნელობას რუსეთში.

საანგარიშო კონცერტზე შესრულებული იყო პოპულიარული და მშვენიერი სონატა „peer Gynt„-ი (იბსენის იმავე სახელწოდების დრამის სიუიტა). დრამა აღებულია ნორვეგიის ხალხის ცხოვრებიდან. პირველი ნაწილი სიმბოლიური ხასიათისაა „დილა“, მეორე „აზეს სიკვდილი“, მესამე „ანიტრას ცეკვა“ (აზა და ანიტრა დრამის გმირები—პირველი სერიოზულობის და სევდის განხორციელებაა, მეორე – მხიარულებისა და უდარდელობისა) მეოთხე ნაწილი გამოხატავს აგრეთვე სიმბოლიურ-ზღაპრულ სურათს „გნომების მკვლელობა“ ერთი ვერსიით და „მთის სულების გაფრენა“—მეორეთი.

მოქ. ბრონი პირველ ნაწილს რამოდენიმეთ ორდინარულათ ატარებს და არ იძლევა განთიადისა და მზის ამოსვლის სურათს ფინალში. აქ სასურველია უფრო დამთავრებული ფრაზიროვკა და უფრო მელოდიური დასურათება.

მეორე ნაწილი კარგად იყო შესრულებული,—მოქ. ბრონი ბევრ ტემპერამენტს აქსოვს შესრულებაში და აძლიერებს ორკესტრის ხმოვანებას forfe და იმავე დროს თანდათან გაძლიერებულ სევდისა და უბედურების განწყობილებას ჰქმნის.

„ანიტრას ცეკვა“ (3 ნაწილი) კარგად იყო შესრულებული, მხოლოდ პიანურის ხმები 2-რე და 3-მე პერიოდებში ქანაობს და ახდენს შთაბეჭდილებას. საჭიროა აღინიშნოს ნორვეგიის ორი მელოდიის შესრულება ორკესტრის მიერ; ეს მელოდიები ეკუთვნის კომპოზიტორ სვედსენს და მათ მშვენიერი ორკესტროვკა და ინსტრუმენტოვკა ახასიათებს.

ვერ დავეთანხმებით მოქ. ბრონს გრიგის სადღესასწაულო მარშის შესრულებაში. მაესტრო მეტად ნელ ტემპს იღებს, რაც სცვლის ნაწარმოების ხასიათს. მართალია ამით უფრო რელიეფურათ ჩნდება ვიოლინოს პირველი მშვენიერი თემა, მაგრამ მაინც საჭიროა უფრო ჩქარი ტემპის აღება.

მეორე განყოფილებაში შესრულებული იყო არენსკის სონატა „ეგვიპტის ღამეები“, რომელსაც განსაკუთრებული მუსიკალური მნიშვნელობა არა აქვს. შესრულება ნათლად ამტკიცებდა რეპეტიციების უქონლობას, რადგან არ იყო გამოყოფილი მელოდიური სურათი.

ცეკვის ნომრები „თავად იგორიდან“—საუცხოვო ნაწარმოებია, კოლორიტული და ლამაზი, მაგრამ საკონცერტო ესტრადაზე ის არ გამოდის კარგი.

კიევის აკადემიურ თეატრის მსახიობის იაკობ ზავალოვის კონცერტი.

წითელ არმიელთა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგა კიევის ოპერის პრემიერის ტენორ ზავალოვის კონცერტი. კონცერტმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც ვოკალურ ხელოვნების მცოდნეთა, ისე საზოგადოების ფართო წრეებში. მომღერალის გამარჯვება სრულიად დამსახურებულია.

მოქ. ზავალოვს აქვს ტენორი Mezzo caracfere საკმაო ფართო დიაპაზონის, რამოდენიმეთ ყელის ხასიათისა, მაგრამ კეთილხმოვანი, მშვენიერათ დაყენებული. მომღერალის მუსიკალობა ყოველ ეჭვს გარეშეა, ტეხნიკა საოცარი.

კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო არიები ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკი“-დან, რომელნიც განწყობილებით და მუსიკალურათ იყო შესრულებული მომღერალის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მოქ. ზავალოვმა მშვენიერათ აიღო საბოლოო si

დამთავრებულათ იყო შესრულებული როსინის ძნელი ტარანტელა, რომელიც განსაკუთრებულ ვოკალურ ტეხნიკას მოითხოვს. კარგად იყო შესრულებული კანიოს არია ოპერა „ჯამბაზები“-დან; განწყობილებით იყო შესრულებული რომანსები რახმანინოვისა „ნუ მღერი ლამაზო“ და ჩაიკოვსკის „ის იყო გაზაფხულის პირზე“.

მხატვრულათ ასრულებდა აკომპანიმენტს მოქ. ბრონი.

როგორც ამბობენ მოქ. ზავალოვი მომავალ სეზონისათვის მოწვეული ყოფილა სახელმწიფო თეატრის საოპერო დასში—ასეთი მსახიობის მოწვევა უეჭველად სასიხარულოა.

მუსიკოსი.

„აფერისტობა მწერლობის იარლიკით“

გაზ. „ტრიბუნის„ № 553-ში მოთავსებულია გაზ. „მწვერვალი“ს სარედაქციო კოლეგიის“ პასუხი ჩემს წერილზე: „აფერისტობა მწერლობის იარლიკით“, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტი“-ს 189 №-ში, სადაც აღნიშნული იყო გაზეთის ხელმძღვანელთა „ერთგვარი“ ბოროტ-მოქმედება. მაგრამ სარედაქციო კოლეგია“ ცდილობს წერილის შინაარსი ისე გაიგოს როგორც „მწვერვალს“ მოუხდება და „ბანზე სიარულით“ ბრალს პირიქით მდებენ.

ვანახოთ: მე ვწერდი—რომ ქართულ მწერლობას პირადი ანგარებით შეეხიზნა ბევრი ვიგინდარა და სხვაგან გამოუსადეგარი, და ეხლაც ვამბობ, რომ მოქ. თ. ჩიქვანაია იმდენათ აინტერესებს მწერლობის ბედი, რამდენადაც ეს ჯიბის საკითხს ეხება და მის სახელს გაუწევს რეკომენდაციას „სხვა საქმეში“.

„მწერვალის“ მესვეურნი საპასუხო წერილში სხვათაშორის თავს რევოლიუციონერებათაც აცხადებენ, რასაც, აშკარაა, სჩადიან ჩემ გასაწბილებლად და „საჭიროების“ მიხედვით. ამასთანავე სადეკლარაციო ტონით ამბობენ: რომ „მწვერვალის“ რედაქცია ისახავს მიზნათ ქართველი ერის კულტურის სამსახურს“. და რომ ეს მართალია, მირჩევენ წავიკითხო თავიდან ბოლომდე გაზ. „მწვერვალის“ ნომრები: „სარედაქციო კოლეგიას“ ასეთი რჩევით სურს ჯავრი იყაროს დ დამსაჯოს მათ წინააღმდეგ ხმის ამოღებისათვის, მაგრამ „მწვერვალზე“ აუსვლელათაც კარგად ვხედავთ „მამლის ბოლოს“.

დაბოლოს საჭიროთ მიგვაჩნია „სარედაქციო კოლეგიის“ გულახდილობა თითქოს „მწვერვალის“ ტფილისში გამოცემის განზრახვა შედეგი იყოს „ძმათ გაფიცულების“—დ. კასრაძის და კ. კამანელის სამსახურის გამო ბათომიდან წამოსვლით. აგრეთვე ჩვენთვის დაუჯერებელია „სარედაქციო კოლეგიის“ გულწრფელი განცხადება მოქ. თომა ჩიქვანაიას პიროვნულ მეცენატობის შესახებ, რადგან სხვას ამბობენ მის მიერ ჩადენილი საქმენი.

ვერც იმას დავიჯერებთ, რომ „მწვერვალის“ სახელით „სალამობი“-ს ნებართვათა ვაჭრობით შემოსული თანხა და განცხადებებში წინდაწინ აღებული ფული ხმარდებოდა სრულიად თავის დანიშნულებას, რადგან სხვას იტყვიან ფაქტები. და თუ გალმა შედავებას კვლავ განიზრახავენ „მწვერვალის“ „სარედაქციო კოლეგიის“ წევრები, მზათ ვარ აღნიშნული ბრალდება დავამტკიცო არა მარტო პრესაში, არამედ სხვაგანაც.

კახით.

წითელ მენავეს

დაჰკა ნიჩბებს მედგრად მკლავო
გააქანე სწრაფად ნავი,
დე! ზღვის ტალღებს წითლად აჩნდეს
ჩვენი ნიჩბის დანაკრავი...

დაჰკა ჩქარა!.. მივაშუროთ
იმ შორეულ ზღვის ნაპირებს,
სადაც შრომა კაპიტალთან
გადამწყვეტ ომს რომ აპირებს.

გასწი მედგრად! ნუ შეკრთები,
ავასრულოთ ჩვენი ვალი,
მთელ მსოფლიოს ერთად მოვსდოთ
აჯანყების ცეცხლის ალი!

გასწი ჩქარა! რას უყურებ!
გაარღვიე ზვირთთა რკალი,
რათა დროზე გადავისროლოთ
იქ ოქტომბრის ნაპერწკალი...

მაშ, მენავე! ნუ გაშინებს
სიშორე და სიძნელე გზის..
რაც არ დაგვრჩეს მივიყვანოთ
იქ ჩვენ ნავი კომუნიზმის...

გესმის? რა რიგ უკრავს ჩაგრული
მოწოდების სალამური? ..
გასწი! ჩქარა მივაწოდოთ
დახმარება იმათ ძმური.

შეუერთოთ მათ ყიჟინა
ჩვენ მრისხანე აჯანყების..
და აღვმართოთ მედგრად დროშა
შრომის სრული გამარჯვების,

მაშ მენავე! მედგრად მკლავი...
გააქანე სწრაფად ნავი
დე! ზღვის ტალღებს წითლად აჩნდეს...
ჩვენი ნიჩბის დანაკრავი...

ა. ხუფხელი.

პროვინციაში

წინანდალის რაიონი (თელავის მაზრა)

წინანდალის რაიონში არსებობს კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება, სადაც თავი მოყრილი აქვს 200 უღარიბეს მშრომელ გლეხობას, რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს ორი-სამი დღიური ვენახები, თავისი მარჯვენით და თავის ოფლით დამუშავებული. კახელ-მევენახეთა კოოპერატივი, მუშურ-გლეხურ მთავრობის მიერ გამოშვებულ დეკრეტების თანახმად, აწარმოებს მუშაობას და სავსებით იზიარებს მის პრინციპებს.

9 აგვისტოს, სალამოს ოთხ საათზე გვესტუმრა ამხ. ლადო დუმბაძე სხვა ამხანაგებთან ერთად, რომლებსაც კოოპერატიული საზოგადოების წევრები დიდი აღტაცებით შეხვდნენ. გაიხსნა საბჭოს კრება მოქალაქე ლ. გოგნიევის თავმჯდომარეობით. ამხ. ლადო დუმბაძემ გააკეთა მოხსენება კოოპერატივების მნიშვნელობის შესახებ და შემდეგ შეეკითხა საბჭოს წევრებს: „იცავს თუ არა კახელ-მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება დღევანდელ კოოპერატივის პრინციპებს? საბჭოს წევრმა გლეხებმა ერთხმად უპასუხეს: „ჩვენ ყველა წევრები ამ კოოპერატივისა და აგრეთვე არტელის წევრები კმაყოფილნი ვართ ყოველმხრივ კოოპერატივით, რადგანაც იგი გვაძლევს დიდს დახმარებას როგორც წევრებს, ისევე არა წევრებს ფულით, გოგირდით, შაბიამანით, ღვინით და სხვადასხვა სამეურნეო იარაღით“. მშრომელი გლეხობის მიერ იყო სხვადასხვა შეკითხვები და ამ ყოველივე შეკითხვებზე ამხ. ლადო დუმბაძე აძლევდა დამაკმაყოფილებელ პასუხს.

შემდეგ გაიხსნა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა კოოპერატივების შესახებ ამხ. ლადო დუმბაძემ, გ. ჩიტალაძემ და ცეკავშირის წარმომადგენელმა. ამხ. დუმბაძემ დაათვალიერა ვენახი, რომელსაც ამუშავებს არტელში გაერთიანებული გლეხობა გაეცნო ამხანაგობა „საეროს“ მუშაობას და აგრეთვე წინანდალის სახალხო მამულს.

ვ. გოგია.

ბუგეულის თემი (რაჭა)

წარსული 1922 წლ. წყალდიდობამ საზოგადოთ რაჭის მაზრას და კერძოთ ბუგეულს დიდი ზარალი მისცა.

ადიდებულმა რიონმა ს. ბუგეულს მოჰგლიჯა ახლად გაკეთებული, ჯაჭვებზე აგებული ხიდი. ხიდის აშენებისათვის დიდი შრომა და ხარჯი გასწია ბუგეულის თემმა და გასაკვირველი არ არის, რომ ამ გარემოებამ თავზარი დასცა ხალხს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ეკონომიურად აკავშირებდა წყლის გაღმა გამოღმა სოფლებს და მისი დანგრევის შემდეგ კი შესწყდა ყოველგვარი მოძრაობა. გაღმა სოფლებში მცხოვრებ ბავშვებსაც დაეკარგათ საშუალება ბუგეულის მთლიან შრომის სკოლაში სიარულისა და სხვა. თუმცა ადგილობრივმა აღმასკომმა მიიღო სწრაფი ზომები ბორანის გაკეთებისათვის, მოკლე ხანში გაკეთდა კიდეც. მაგრამ რადგანაც თვით ბორანისათვის არ აღმოჩნდა ახლო-მახლოში შესაფერისი ადგილი—მისი წესიერად ამოძრავება შეუძლებელი შეიქმნა.

მიმდინარე წლის მაისში აღმასკომმა, ხიდის აშენებელ კომიტეტთან ერთად, აღძრა მაზრის მთავრობასთან შუამდგომლობა, რათა მას მიეცა ნება და მასთან ერთად მატერიალური ტეხნიკური ძალებით დახმარება ახალი ხიდის აშენებისათვის.

თუმცა მაზრის მთავრობას ფიქრად ჰქონდა ხიდის გაკეთება ს. ხვანჭკარის პირდაპირ, სადაც, მისი აზრით, ხიდი უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა ადიდებულ რიონის მხრივ ბუნებრივი სიმაგრეების გამო, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ: 1) ს. ბუგეულში ყოველწლიურად (ენკენისთვეში) იმართება ბაზრობა, სადაც მრავალი მოვაჭრეები სხვა და სხვა საქონლით იყრიან თავს, 2) ბუგეულის მთლიან შრომის სკოლაში გაღმა სოფლებიდან მოსიარულე ბავშვებისათვის ბუგეულის ხიდი უახლოესი გზაა, 3) რომ ბუგეულში არსებობს საექიმო პუნქტი და სხვა, გამოიტანა ასეთი დასკვნა, რომ ბუგეული წარმოადგენს ერთგვარ ცენტრს და გადასწყვიტა ს. ბუგეულში ახალი ხიდის აშენება ადგილობრივი მცხოვრების ხარჯზე, მხოლოდ აღუთქვა დახმარება საჭირო მასალით და ტეხნიკური ძალებით. მუშაობას შეუდგენ კიდეც და იმედია მოკლე ხანში დამთავრდება იგი. მხოლოდ, მცხოვრებთა აზრით, საჭიროა მთავრობის მხრივ უფრო ფართო დახმარება, ვინაიდან ბუგეულის თემი ამ ჟამად განიცდის სასტიკ ეკონომიურ კრიზისს.

ბუგეულელი.

სოციალისტ-ფედერალისტის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

1917—1920 წლამდე ვირიცხებოდი ოფიციალურ წევრად საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიაში. 1920 წ. ჩემს პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობის სფეროში რეაქცია იწყება. უნდა აღვნიშნო, რომ მთელი ჩემი სიმპატია კომუნისტებისაკენ იყო. პარტია, რომელსაც ვეკუთვნოდი შესდგებოდა უმეტეს ნაწილად კონტრ-რევოლიუციონურად მოაზროვნე ვაჭარ-მღვდლებისაგან და შაბლონიურ ინტელიგენციიდან. რაც დრო გადიოდა ჩემს წინაშე ფერად ფერადი სურათები იშლებოდენ პარტიის წრეებში გაბატონებულ ინდიფერენტიზმის, მაგრამ ვინაიდან ძალა არ შემწევდა ანალიზი გამეკეთებინა პარტიული მუშაობისათვის, ვერ გამოვუსხლტი ჯადოსნურ წრეს, რომელმაც 18 წლის ახალგაზრდაზე სასიკვდილო გავლენა იქონია.

მაგრამ, ჩემს ცხოვრებაში სდგება განვითარების მეორე პერიოდი—ეს თვითგამორკვევის პერიოდია. აქ ბედმა მარგუნა რევოლიუციონურ მარქსიზმის გაცნობა. იმ უნიადაგო სუბიექტურ სკოლის მამა-მთავრების თეორიებმა თანდათან დაჰკარგეს ფასი ჩემს რწმენაში. ეს აიხსნებოდა მით, რომ მარქსის მოძღვრება, რომლის გაცნობას მთელი ჩემი აზრებით დავეწაფე, გამოვიყენე, რამაც საშუალება მომცა სინამდვილის სურათები უფრო ნათლად გამეთვალისწინებია. ცხოვრების ასე ვსთქვათ ანატომიურმა ანალიზმა რევოლიუციონური მარქსიზმის საშუალებით მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელის ჩვენებით შეუძლია გასანთავისუფლებელი გზის მონახვა ტანჯულთა ლეგიონებს. რაც შეეხება დანარჩენ თეორიებს როგორიც მე-18 საუკ. მატერიალისტური მოძღვრება, რომელიც მკრთალად გამოიყურებოდა, უტოპისტ ნაციონალისტების და შემდეგ რევიზიონიზმი, ისინი პატარა გამონაკლისით ჩაბარდნენ ისტორიას იმდენად, რამდენადაც მათი ცხოვრებაში გამოყენება არ მოხერხდა. მათ ნანგრევებზე აღიმართა რევოლიუციონური მარქსიზმი, რომელიც მკვეთრ იარაღათ გადაიქცა მშრომელთათვის. ჩემს მიზანს არ წარმოადგენს კომენტარიებით დავტვირთო ჩემი აღსარება, მხოლოდ მინდა გულწრფელად ვაღიარო, რომ ის ბრძოლა, რომელიც გამართული იყო ჩემს არსებაში კომუნისტურ პარტიის და სხვა კათედერ-სოციალისტ. პარტიების უპირატესობის გარშემო დამთავრდა მით, რომ უყოყმანოთ ვსცანი უპირატესობა კომუნისტურ პარტიისა (ბოლშევიკების). დანარჩენი პარტიები კი მოწოდებული იყვნენ დაღუპვისაკენ და სინამდვილემ თავისი გამართლა.

გამოვდივარ რა იმ მოსაზრებიდან, რომ დღეს მსოფლიო ორ დიდ მო-

მუშათა ცხოვრება

პარასკევი 24 აგვისტო 1923 წ. № 193

სასამართლოს დარბაზიდან

(მუშკორ ვასილიევის გასამართლების გამო).

ამხ. სტალინის სახელობის თეატრი სავსეა ხალხით. უკვე საღამოს 7 საათია. საზოგადოება ღელავს. თეატრის მარცხენა მხარე უჭირავთ მუშებს გაქონილ ხალათებში, თეატრის მარჯვენა მხარეზე კი მოთავსებული არიან გზათა სამმართველოს „სპეცები“ და მათი „დამები“. ისინიც მოვიდენ მოისმინონ, თუ როგორ გაასამართლებენ მუშკორს. მათთვის ხომ საშიშია მუშკორი და მისგან თავის დაღწევა ყველასათვის სასიამოვნოა.

— ჩავარდა ერთი კლიაუზნიკი. ჩქარა მეორეც იქნება! იმეორებენ ხმები.

— სასამართლო მოდის, გთხოვთ ადგეთ,— აცხადებს მდივანი და იწყება მხარეების დაკითხვა.

მქუხარე ტაშით დაჯილდოვებული ბრალდებული ამხ. ვასილიევი ადის სცენაზე.

„სქელი პორტფელით“ იღლიას ქვეშ სცენაზე ადის ბრალმდებელი ველიჯანინიც. მოწმეები შედიან.

იწყება დაკითხვა. მუშათა სასამართლოს სმენას ეხამუშება მოქ. ველიჯანინის ჭამდაუწუმ განმეორებული სიტყვები: „მიბრძანეთ“, „ბატონო მოსამართლენ...“ და სხვა.

მოსამართლე აჩერებს მეტისმეტად „ზრდილობიან მოხელეს“ და მოითხოვს, რომ მან მოსამართლეებს „ბატონი“ არ უწოდოს.

მაგრამ მოქ. ველიჯანინმა საქართველოში [illegible] ხელისუფლების 3 ნახ. წლის არსებობის განმავლობაში ვერ მოახერხა ძველი არისტოკრატიული ჩვეულებების დავიწყება. „მე პირველმა გავბედე საქმის დაწყება მუშკორის წინააღმდეგ, რადგან სხვა ადმინისტრატორებს ეშინიათ საჩივარი აღძრან მუშკორებთან“,—ამბობს თავხედი ადმინისტრატორი.

მუშკორი ვასილიევი ლაპარაკობს სხარტად: „მე მუშკორი ვარ და უნდა გამოვამჟღავნო ჩვენი საზოგადოებრივი იარები. [illegible] ასეთი იყო და არის მოქ. ველიჯანინი. მე მხოლოდ მოვითხოვ სამართლიანობას და იმას, რომ გამორკვეულ იქნეს ამ დახელოვნებულ, ეშმაკ მოხელის მოქმედებანი“.

მოწმეების ჩვენებით მტკიცდება მუშკორის მიერ დაბეჭდილი წერილის სიმართლე. ირკვევა ბიუროკრატიზმიც და თუ როგორც პროფორგანოების, ისე შრომის კანონებისა და დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების [illegible].

ბრალმდებელს სახე ეცვლება. ის უკვე ფაქტიურათ ბრალს კი არ სდებს, არამედ სცდილობს თავისი თავი დაიცვას.

— მართალია, შრომის კანონთა კოდექსი ყოველთვის არ იყო [illegible] დაცული, მაგრამ გზათა უფროსის ბრძანება ჩემთვის კანონია.

მოქ. ველიჯანინის დაკითხვის დროს გამოირკვა, თუ როგორ ახდენდა ის შტატების შემცირებას და როგორ უვლიდა ამ საკითხში გვერდს პროფორგანოებს. გამოირკვა ისიც, რომ მას ამ საკითხში შეცდომაში შეჰყავდა გზათა უფროსი.

მოსამართლის წინადადებამ — „გათავებულ იქნეს საქმე მორიგებით“ გაამხიარულა მოქ. ველიჯანინი და მან მაშინვე განაცხადა: „მე თანახმა ვარ, თუ მუშკორი ვასილიევი დასწერს გამართლებას ჩემი კარნახის ქვეშ“.

მაგრამ არა, ვასილიევი მტკიცეთაა, ის მოითხოვს მხოლოდ სამართალს.

დამცველმა მელიქ-ადამოვმა თავის სიტყვაში დაახასიათა ორი ტიპი: ერთი ძველი, უფროსის პირში შემყურე სპეცი და მეორე—ცოცხალი ტიპი, მუშკორი—კომუნისტი, რომელსაც სურს მუშათა ცხოვრების გაუმჯობესება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენელმა გ. მალაშხიამ თავის სიტყვის ბოლოში განაცხადა, რომ „საბჭოთა დაწესებულებებში ასეთ მაღალ თანამდებობაზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი ისეთ სპეცებს, რომელნიც სარგებლობენ მუშათა მთავრობის ყოველგვარ პრივილეგიებით, ნდობით, დიდი ჯამაგირებით, პრემიებით და სხვა და არ შეუძლიათ პატიება, სძულთ მუშები, რომელთა ხარჯზედაც ისინი ეხლა განცხრომით და კმაყოფილებით სცხოვრობენ, და რომელნიც ხან ფარულად და ხან ჩუმათ ებრძვიან მუშათა პრესას და მის სულის ჩამდგმელს მუშათა კორესპონდენტებს“!.. და [illegible] მოითხოვს მოქ. ველიჯანინის მოხსნას თანამდებობიდან„.

კვლავ მქუხარე აპლოდისმენტები.

სასამართლოს სხდომა წყდება. საკითხი გამორკვეულია.

ერთი საათი ჩქარა გადის.

— სასამართლო მოდის.

სამარისებური სიჩუმე. კითხულობენ განაჩენს ქართულ ენაზე. ველიჯანინი ცნობილი იქნა დამნაშავეთ და მუშკორის წერილი კი სწორათ და დამტკიცებულათ.

— თქვენ ამხ. ვასილიევ გამართლებული ხართ, ამბობს უკვე რუსულათ მოსამართლე.

ხანგრძლივი აპლოდისმენტები. ისმის ხმები გაუმარჯოს „მუშათა სასამართლოს“ და მუშები კმაყოფილნი და მხიარულნი იმით, რომ გაიმარჯვეს, მიდიან თავთავიანთ სახლებში.

დეე ისწავლონ და გაიგონ ჩვენმა სპეცებმა, როგორ უნდა საბჭოთა კანონების ასრულება!

ვ— ზო.

ლოთობა მუშათა სახლებში

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც მუშები პრესის საშუალებით ებრძვიან ლოთობას, რამაც საგრძნობი შედეგიც მოიტანა და აქა იქ ფაბრიკა-ქარხნების ირგვლივ ქალაქმასკომის საშუალებით დაკეტილია ბევრი სამიკიტნოები, მხოლოდ მუშათა სახლებს არავითარი ყურადღება არ ექცევა ამ მხრივ. ელისაბედის ქუჩაზე, № 60 არის მებეჭდავეთა კავშირის სახლი. ამ სახლში ხშირი მოვლენაა ლოთობა. კვირა და უქმე დღეები არ გაივლის ისე, რომ აქ რაიმე ყაყალ-მაყალი, ჩხუბი და ლანძღვა არ იყოს ლოთობის გამო, რომელსაც თან სდევს უშვერი, ქუჩური ლანძღვა-გინება. ამ შემთხვევაში აქ დიდ „გმირობას“ იჩენს აქვე მცხოვრები მუშა მათე სოკოლოვი და კომპანია. ამ მუშათა სახლიდან 30—40 საჟენზე, რუსთაველის და ელისაბედის ქუჩების კუთხეში მოთავსებულია გასტრონომიული მაღაზია მაგარი სასმელებით, იმის პირდაპირ კიდევ მეორე [illegible] რიალ-დასახიჩრებულთა კავშირის წევრებისა, რომლებიც ძალიან კარგად ვაჭრობენ, განსაკუთრებით უქმე დღეებში. ხსენებული მუშათა სახლიდან ხშირი სტუმრები არიან ამ სამიკიტნოებში აქ მცხოვრები მუშები. ხშირად დილიდან საღამომდის ამ დუქნებს არ შორდებიან. ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ბინის [illegible] ცოლებს დუქნიდან ძალით გამოუყვანიათ თავიანთი ქმრები, რომ ესადილათ შინ.

ამას გარდა უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: იმ დროს, როდესაც მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი ლოთობას ებრძვის და არ ზოგავს არაფერს, რომ ის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას სამიკიტნოების დაკეტვით, რაც შეიძლება უმტკივნეულოთ ჩვენი ღარიბ სახელმწიფოსთვის ნაკლები ზარალის მიყენებით, [illegible] არის ამხანაგი, რომელიც მუშათა სახლში ერთგვარ მიკიტნის როლსაც არ თაკილობს; აქ მცხოვრებლებს ღვინოს აწვდის, ზოგს ნაღდ ფულზე და ზოგს კიდევ ნისიათ.

ასეთი მოვლენა ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს, როდესაც ამას კავშირის წევრნი ხედავენ და ისიც მუშათა სახლში... საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს და მუშათა სახლებში ლოთობა არ იქნეს დაშვებული.

აქ მცხოვრები მუშა.

შრომის ექსპლოატატორები უნდა აღკვეთონ

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ.)

სიონის შესახვევში № 10-ში ცხოვრობს ერთი თათრის ოჯახი. ამ ერთი კვირის წინად ამ ოჯახს ემსახურებოდა მთელი ერთი თვის განმავლობაში ამავე ქუჩაზე 11 ნომერში მცხოვრები სომხის ქალი, 12 წლის გოგო. როგორც აღმოჩნდა, ბავშვს ჯამაგირს არ აძლევდა ეს თათარი, მხოლოდ აჭმევდა და მისცა მისთვის მხოლოდ ერთი ძველი ქალამნები და თავის ცოლის ძველი გადაგდებული კაბა, ჩაეცვა მისთვის. მასთან ტკბილი და ლამაზი სიტყვებით გოგოს საშინელ ექსპლოატაციას აწარმოებდენ [illegible] ცოლქმარი; ამუშავებდენ მას და თავის სახლში არ შეუშვებდენ ბავშვს. ამ გარემოებამ [illegible] ბავშვის და [illegible], რომლის [illegible] თათრისთვის, რაც სრულებით იქნა [illegible].

ერთ მშვენიერ დღეს, ყოფილ ქალბატონმა [illegible] თავის სახლში [illegible] აბანოში წასაყვანად, მასთან ბავშვს ჩაეცვა მისი „ნაჩუქარი“ კაბა. თათრის ცოლს კი [illegible] ჰქონდა განზრახული, რომ ბავშვი გაეტიტვლებინა და ისე გამოეშვა თავის სახლში. ბავშვი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მართლა აბანოში წაიყვანდნენ. ჩაიცვა და წავიდა. აბანოს მაგიერად ბავშვი მისმა ყოფ. ქალბატონმა შეაგდო ოთახში, წაართვა კაბა და ატირებული ბავშვი ქუჩაში გამოაგდო. თვალ-ცრემლიანმა ბავშვმა მილიციონერს მიმართა. მილიციონერის მოთხოვნით ბავშვს მისი კაბა უკან დაუბრუნდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, ვინაიდან ბავშვმა თათარს მთელი ერთი თვე ემსახურა, [illegible] და ჩაეცვა ბავშვისთვის და შრომის [illegible] ფერი მიეღო. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება შრომის ინსპექტორის მიერ და დაეცვას [illegible] და ინტერესები მუშა-ბავშვისა.

მუშკორი [illegible] მარო.

სახლის პატრონები განზრახ აფუჭებენ სახლებს.

([illegible] საყურადღებოდ)

სახლი, რომელშიაც ჩვენ მუშები და [illegible] ვცხოვრობით, ეკუთვნის მოქ. პოლია შიბკოვისას (მე-2 უბნის ზარიადნის შესახვ. 5). აქვე სცხოვრობს აგრეთვე არა საბჭოთა მოსამსახურეები.

სახლი საცხოვრებლად დაბალი ხარისხისაა და მასთან დიდი სიძველის გამო სავსებით დაზიანებული, რომელშიაც წვიმა სრულიად თავისუფლად ჩამოდის და ჭერიც ერთიანად ჩამონგრეული აქვს მას.

უკანასკნელ ბინის დეკრეტის გამოცემამდი, ე. ი. მანამ, სანამდის ქალაქში სახლები თავიანთ პატრონების მფლობელობაში გადავიდოდა ჩვენ, ამ სახლში მცხოვრებნი ბინის ქირას შედარებით მეტს ვიხდიდით— ვიდრე ეს წესი იყო; და ამას ჩავდიოდით იმ აზრით, რომ შეიძლება ოდნავ მაინც მიხედოს სახლის პატრონმა სახლს და შეაკეთოს.

მაგრამ ჩვენი სახლის პატრონი სახლის შეკეთებითი მზრუნველობაზე არასოდეს არ იწუხებდა თავს: „ნეტავ სავსებით დაინგრეოდეს ეს სახლი, მაშინ მაინც არ მომცილდებიან ეს გალატაკებული უსარგებლო მუშები და სტუდენტობა“,—მხოლოდ ამას თუ წაიბუტბუტებდა ჩვენი სახლის პატრონი ყოველ ჩვენ მისვლაზე მიმართვაზე.

როდესაც ბინების უკანასკნელი დეკრეტი გამოიცა, ჩვენი სახლის პატრონი წამსვე ქორივით დაეცა ყველა მდგმურებს და მოითხოვა მათგან ბინის ახალი კანონით განსაზღვრული წინანდელი ქირების რაოდენობის გადახდას.

ჩვენც სიამოვნებით ვეთანხმებოდით ამ შემთხვევაში სახლის პატრონის მოთხოვნას [illegible] იმ თვალსაზრისით, რომ ბინის ახალი კანონი გულისხმობდა სახლების შეკეთების ვალდებულებას სახლის პატრონის მხრივ. ეს კი ჩვენი აზრით მდგმურებისთვისაც კარგი იყო, სახლის პატრონებისთვისაც.

მაგრამ ჩვენმა სახლის პატრონმა სრულებით გასთელა ყველა [illegible], ჩვენ მიერ გათვალისწინებანი და ენერგიულად შეუდგა ახალი კანონის, მხოლოდ თავის სასარგებლოდ გამოყენებას: ქირას მიაქვს და სრულებით სახლს არ ხედავს. ის ნაცვლად იმისა, რომ ოდნავ მაინც შეასრულოს თავისი ვალდებულება და შეაკეთოს სახლი, ათასნაირ შეურაცხყოფას აყენებს ამ ნიადაგზე თავის მდგმურებს და [illegible] სიტყვებით უმასპინძლდება. დროა აილაგმოს თავხედი პატრონი.

[illegible] მუშა.

მუშათა ქრონიკა.

— მ. და გ. ინსპექციამ ა. კ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციების გაერთიანებულ შემოწმების საკონფლიქტო კომისიამ, ა. წ. აგვისტოს თვეში, შიკრიკებს და დარაჯებს ჯამაგირი 100 პროცენტით გაუდიდა.

— ქ-ნა „[illegible]“. მექანიკურ [illegible] ქარხნის ადგილკომს განზრახული აქვს მოაწყოს ქარხანაში საერთო [illegible], სადაც დასვენების დროს უნდა სისტემატიურად უკითხონ მუშებს გაზეთები.

— ახალი მანქანა. ამავე ქარხანაში ამუშავდა ცალკე ელექტრო-სადგური, სადაც [illegible] მანქანები. ახლად დადგმულია 220 ძალიანი მანქანა, რომელიც ყველა მანქანების მაგივრობას ასწევს და თითქმის ქალაქის ნაწილსაც მისცემს სინათლეს.

წინააღმდეგი ბანაკად არის დაყოფილი, რომ მსოფლიო კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზია [illegible] სოც. პარტიებთან ერთად ამაგრებს ფრონტს კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, ვსცანი ჩემს მოვალეობად მეც ჩავდგე იმ მებრძოლ კომუნისტთა რიგებში, რომელნიც წითელ დროშებს მიაქანებენ ექსპლოატატორთა მოსასპობად და მშრომელ მასსების გასანთავისუფლებლად. [illegible] სურვილს წევრი გავხდე კომუნისტური პარტიის, რომელიც უშიშრად აცხადებს ბურჟუაზიის წინაშე თავის სურვილებს. ეს გადაწყვეტილება უკანასკნელი სიტყვაა ჩემი და ოდნავადაც არ უფრთხი იმ პასკვილისებურ საყვედურებს, რომლითაც ზოგიერთი ამხანაგები გამიმასპინძლდებიან. დღე ილოდენ მით, რომ მხოლოდ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ შესძლო მიუდრეკელ ბრძოლის შემდეგ გაორკეცებით [illegible] ბურჟუაზიის [illegible] კომუნიზმის [illegible] წინააღმდეგ წასულ [illegible], მარქსის არ იყოს, [illegible] ყველა რეაქციონური ძალები. დღე, გამოირკვენ, რომ [illegible] არა ვარ და ის გზა, რომელზედაც ახლა უნდა შევსდგე, საუკეთესო იქნება გამორკვევისაკენ მიმავალი. [illegible] ბევრი [illegible] ნებული დღის კი, ბოლოზე მოსული ამხანაგებიც.

[illegible] მუშკორი.

მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 74

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წლის აგვისტოს 8-ს.

არსებული სააქციზო განაკვეთის შეცვლის შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 14 ს თარიღით გამოცემული დადგენილების II განყოფილების საფუძველზე, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაწესებულ იქნეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი სააქციზო განაკვეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით:

1. ყურძნის, ხილეულობისა და [illegible] ღვინოზე:

ა. ადგილობრივი წარმოებისა:

ა) ყურძნის ღვინო, არა უმეტეს 14 გრადუსის სიმაგრით — 800,000 მან. ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის — 3,800,000 მან.; ბ) ხილეულობის ღვინო სიმაგრით 14 გრადუსამდე — 3,800,000 მან. ვედროზე; გ) ყურძნის ღვინოები, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა [illegible] — 4,480,000 მანეთი, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის 8 მილიონი მან.; დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურის წესით) 23,700,000 მან. ვედროზე.

ბ. უცხოეთიდან შემოტანილი:

ა) ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე, აქციზად დაედება 7,520,000 მან. ვედროზე, 14 გრადუს ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა — 18,800,000 მან. და მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურის წესით) — 61,600,000 მან. ვედროზე.

2. ლუდის მარს აქციზად დაედება 800,000 მან. ვედროზე.

3. სპირტი დაიბეგრება: ა) გამოხდილი ყურძნისაგან, დაჩირული ხილეულობისაგან და ყურძნის [illegible] (ქიშმიში, [illegible]) — 400,000 მან. გრადუსზე; ბ) კონიაკის სპირტი — 100,000 მანეთით გრადუსზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის 450,000 მან. გრადუსზე; გ) [illegible] მარცვლეულობიდან და [illegible] ყოველგვარი მასალიდან 6—40,000 მანეთით გრადუსზე; დ) კონიაკს დაედება დამატებითი აქციზი 10,000,000 მან. რაოდენობით ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის — 20 მილიონი მან. რაოდენობით ვედროზე.

შენიშვნა: ტექნიკური, ქიმიური და სხვა [illegible] საჭიროებისათვის [illegible].

4. არყეულობას გარდა ძირითადი აქციზისა დაედება დამატებითი აქციზი 16 მილიონი მან. ვედროზე.

5. [illegible] და [illegible] მინერალური წყალი დაიბეგრება: ა) [illegible] სიმაგრით არა უმეტეს 6 გრადუსისა — 2 მილიონი მან. ვედროზე; ბ) თაფლის [illegible] და ხილეულობის [illegible] — 400,000 მან. ვედროზე.

6. [illegible] დაიბეგრება: ა) [illegible], რომელიც შეიცავს არა უმეტეს 75 წკრისა — 10,000 მანეთით გირვანქაზე; ბ) 75 წკრიზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 150 წკრისა — 20,000 მანეთით; გ) 150 წკრიზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 225 წკრისა — 30,000 მან. და სხვ.

7. ნავთის პროდუქტები დაიბეგრება: ა) სანათი ზეთი (კეროსინი) და ნავთის სხვა [illegible] ნახადი პროდუქტი [illegible] — 1,200,000 მანეთით ფუთზე; ბ) ბენზინი — 2 მილიონ 400,000 მანეთით ფუთზე.

8. ჩაი, ყავა, მათი სუროგატი და ციკორი დაიბეგრება შემდეგი რაოდენობით გირვანქაზე: ა) შავი (ბაიხოვი) ჩაი — 1,800,000 მანეთით; ბ) ჩაი ფილებად (პლიტოჩნი) — 1,100,000 მანეთით; გ) აგურის ჩაი (კირპიჩნი) — 800,000 მანეთით; დ) ადგილობრივი პლანტაციების ჩაი — 400,000 მანეთით, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის — 1,800,000 მანეთით; ე) ყავა ნატურალური [illegible] და დაფქვული — 1,200,000 მანეთით; ვ) ჩაისა და ყავის სუროგატი და ციკორი — 100 ათასი მანეთით.

9. საფუარი დაიბეგრება: ა) [illegible] საფუარი და აგრეთვე [illegible] საფუარის [illegible], როცა მას დამატებული აქვს ფქვილი ან სხვა მისი თანაგვარი ნივთიერება იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება საფუარის სრული გაშრობისათვის — 400,000 მანეთით გირვანქაზე; ბ) ხმელი საფუარი, დამზადებული [illegible] საფუარის გაშრობით განსაკუთრებული წესით — 1,200,000 მანეთით გირვანქაზე.

10. საქარინი და სხვა მისი მსგავსი ხელოვნურ-ტკბილი ნივთიერება დაიბეგრება 20,000,000 მანეთით გირვანქაზე.

11. თაფლისა, ქანცვილისა (ოზოკერიტ), სტეარინისა და სხვა სანთელი დაიბეგრება 1,200,000 მანეთით გირვანქაზე.

12. საჭმელის მარილი 200,000 ფუთზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის — 800,000 მან.

13. თამბაქოს ნაკეთობა:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყვითელი თამბაქო ფოთლებად (არა წეკო), რომელიც თამბაქოს ქარხნის საწყობიდან გადაეცემა თვით ქარხანას [illegible] დამუშავებლად — 2 000.000 მან. გირვანქაზე.

ბ) წეკოს პაპიროსი 1000 ცალზე — 1.200.000 მან.

გ) სიგარეტი 1000 ცალზე — 9 000.000 მან.

დ) სიგარა 1000 ცალზე — 24 000.000 მან.

ე) მოსაწევი წეკო გირვანქაზე — 200.000 მან.

ბ. უცხოეთის წარმოებისა:

ა) მოსაწევი თამბაქო და მახორკა ყველა ხარისხისა გირვანქაზე — 6 000.000 მან.

ბ) პაპიროსი ყველა ხარისხისა 1000 ცალზე — 12.000 000 მან.

გ) სიგარეტი 1000 ცალზე — 30.000.000 მან.

დ) სიგარა 1000 ცალზე — 80.000.000 მან.

14. გილზის ნაკეთობა და პაპიროსის ქაღალდი:

ა) პაპიროსის გილზა 1000 ცალზე — 400.000 მან.

ბ) დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი 1000 ფურცელზე — 120.000 მან.

შენიშვნა: გილზა, რომელიც ხმარდება პაპიროსის დამზადებას თამბაქოს ქარხანაში აქციზით არ დაიბეგრება.

15. პაპიროსის სახელოსნოში აქციზ გადახდილი მანდეროლიანი თამბაქოსაგან და აქციზ გადახდილი მანდეროლიანი გილზისაგან დამზადებული პაპიროსისათვის დაწესებულ იქნეს დამატებითი აქციზი 400.000 მანეთის რაოდენობით 1000 ცალზე.

16. ქარხლისა და სახამებლის შაქარი:

ა. ქარხლისა კრისტალისებური:

ა) ფხვნილი — 6.000.000 მან ფუთ.

ბ) რაფინადი — 7.500.000 მან. ფ.

ბ. სახამებლის შაქარი სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, გლიუკოზა და რაფინადი) — 2.400.000 მან. ფუთზე.

17. შირის კალოში:

ა) ადგილობრივი წარმოების კალოში — 400.000 მანეთით წყვილზე

ბ. უცხოეთის წარმოებისა 800000 მანეთით წყვილზე.

შენიშვნა: ბავშვის კალოშს დაედება ნახევარი აქციზი.

II ა) ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთი შეეფარდება ყველა საგანს, რაც გამოშვებულია მისი წარმოებისა ან შენახვის იმ ადგილიდან, რომელიც სარგებლობს მასზე აქციზის [illegible] უფლებას არსებულ წესით.

ბ) ყველა საგანი, რომლის აქციზიც უკვე გადახდილია მტკიცე განაკვეთის მიხედვით ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ამა 1923 წლის მაისის 14 ს თარიღის დადგენილების თანახმად — თავისუფალია დაბეგვრისაგან.

გ) იმ საგნებისათვის, რაც გამოშვებულია აქციზის გადახდის ვადის შეღავათიანი გადადებით და აგრეთვე ვადა გადაცილებული საგნებისათვის აქციზი გადახდილი უნდა იქნეს იმ განაკვეთის მიხედვით, რაც იქნება აქციზის გადახდის დღეს.

III. დაევალოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რათა დადგენილება ესე ძალაში შეიყვანოს ტელეგრაფით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ს. დეკიშვილი.

პარტიული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის თვის „ცნობებ-ში“ [illegible] (ოქმი № 4) გრიგოლ მგალობლიშვილის საქმის შესახებ, სადაც [illegible]: „[illegible] პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობიდან“. ეს სიტყვები შეცდომით არის [illegible]. გრიგოლ მგალობლიშვილი რჩება თავის თანამდებობაზე.

[illegible]

— საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ ეხლა, ან წინად მუშაობდნენ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ აგვისტოს 26-დე. რეგისტრაციას ექვემდებარებიან: რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრები, კორესპონდენტები და ჟურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომლები.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელის მოწერა).

საარიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი აუწყებს საქ. კომ. პარ. მე-4 უბნის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ პარასკევს, 24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის დარბაზში, ერთიანი პარტიული დღის ნაცვლად გაიმართება სრულიად საუბნო კრება.

ყველა ამხანაგებს წინადადება ეძლევა გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ 5 საათისათვის, რომ 6 საათზე გაიხსნას კრება.

მე-4 საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი [illegible].

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს, რათა ერთიან საკავშირო დღეს, 27 აგვისტოს უჯრედების კრებებს დღის წესრიგში დასვან საკითხი ახალგაზრდობათა საერთაშორისო მე-9 დღის შესახებ. ტეზისები ცალკე გამოცხადდება გაზეთებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ ვ. მეტონიძე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა,
პარასკევს, 24 აგვისტოს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში დასმულ იქნეს საკითხი
„[illegible] შესახებ“.
თეზისები გამოქვეყნებულია ყველა გაზეთებში.
ტფილისის კომიტეტის მდივანი — რუბენი.

ორშაბათს, 27 აგვისტოს, ღამის 11 საათზე
გადის
პირველი მატარებელი
გლეხთა ექსკურსიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა რაიონებს მონაწილეობა მიიღონ გაცილებაში და ეს შემთხვევა გამოიყენონ როგორც პრაქტიკული მოვლენა სოფლისა და ქალაქის ერთობის და ამ დღეს მისცენ საზეიმო საგიტაციო ხასიათი როგორც დემონსტრაცია მუშებისა და გლეხების ერთიანობისა.

საუბნო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ დელეგაციები გაგზავნონ მუშებისაგან და აირჩიონ ორატორები მილოცვისა და სიტყვების წარმოსათქმელად.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე [illegible].

განცხადებები

ვამზადებ მათემატიკის და რუსული ენის მოსწავლეებს და 3 ჯგუფ. მოწაფეებს მუშფაკზე, ტეხნიკუმში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან. ნ. ნახვა 9—2 ს. და 3—7 ს.

1120 4. 1

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ კვირას, 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ცენტრალური საწყობის ეზოში (ელისაბედის ქ. № 138).

დანიშნულია

სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა

[illegible] იჯარით გადაცემა ცენტრო საწყობის შენობების რემონტი და მათი სათანადო გადაკეთება ხორბლეულის მოსათავსებლად და [illegible] ცენტრო-საწყობის სახურავის შეღებვა.

იჯარა შეიძლება გაიცეს ნაწილ-ნაწილად რომელიმე პირზე. ნაწილობრივ გამოყენებული უნდა იქნეს ცენტრო-საწყობში არსებული მასალა.

დაწვრილებითი პირობები და სამუშაოს [illegible] შეიძლება სასურსათო სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილებაში საქმის დროს ([illegible] ქ. № 2).

ს. ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი.

(1091—3—2)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული ბუღალტერიის პრაქტიკული კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

აწარმოებს მიღებას ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

4) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—16

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

[illegible] დაავადებათა

მიხეილ მედეგაროშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით [illegible] საჭიროებენ.

ავადმყოფებს სინჯავს ექ. სვიმონ [illegible]

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20 125 (801—25—25)

ქ. ტფილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში აიკო სიმონის ძე სიმონიანცს პასუხის მისაცემად განცხადების დაბეჭდვის დღიდან ორ თვის განმავლობაში საჩივარზე [illegible] მელკუმოვის ასული მელკუმიანცისა მზითვის დაბრუნების შესახებ (საჩივრის ღირებულება 231.215.000 მანეთი) და აფრთხილებს მას, რომ გამოუცხადებლად აღნიშნულ დროს, საქმე გაირჩევა და დაუსწრებელი დადგენილება.

1116 1—1

სახალხო მოსამართლე ი. [illegible].

დაიკარგა გორის მაზრის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 310 ნინა ნიკოლოზის ასული ნატროშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1118 1—1

დაიკარგა ნუსხა მოცემული სენაკის სამხედრო კომისარიატისაგან აკაკი ალექსის ძე ცომაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1119—1—1)

ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 18 აგვისტოდან შაბათობით და უქმე დღეების წინ ტფილისიდან და 19 აგვისტოდან კვირაობით ყარაკლისიდან მოაგარაკე მგზავრთა კარგ პირობებში მიმოსვლისათვის ტფილის-ყარაკლისის შორის

ინიშნება ერთი წყვილი დამატებითი სამგზავრო მატარებელი №№ 60 და 61 შემდეგი ცხრილით: ინიშნება

მატ. № 61 გავა ტფ.-დან საღ. 8 ს. 25 წ. ● ჩავა ყარაკლისში დილ. 6 ს., 30 წ. (შაბათობით და უქმე დღეების წინ).

მატ. № 60, გამოვა ყარაკლისიდან საღ. 9 ს. ● მოვა ტფილისში დილის 7 ს. 5 წ. (კვირაობით და უქმე დღეებში).

კრ. 578 1—1

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ამ.-კავ. რკ. გზ. გამგეობის შენობაში (ვოკზლის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა ერთი წლის ვადით იჯარით გაცემაზე:

ვაგონ-რესტორანების №№ 933 და 912 (მოიჯარადრე—ცხომელიძესი და მაჯანაშვილის).

ვაგონ-ბუფეტის, რომელიც მოძრაობს №№ 3 | 4 და 7 | 8 მატარებლებთან ერთად,—ცივი საჭმელებით (მოიჯარადრეები [illegible]).

I კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე: ფოთი—სად. ფოთი—ნავთსადგური, სუფსა, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, მოლითი, [illegible], კარდანახი, წნორის-წყალი, სანაინი, [illegible], საგირი, სურახანი, იამა, კუსარ-ჩაი.

სავაჭრო კარვების შემდეგ სადგურებზე: აბაშა (კიკნაძის შენობა), შორაპანი, ხაშური (ხარებავას შენობა), [illegible], მუხრანი, [illegible], კარაკლისი, ალექსანდროპოლი, [illegible], საგირი, აჯიკაბული, სურახანი, კუსარ-ჩაი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე: ლანჩხუთი, [illegible], გორი, სანაინი, კარაკლისი, [illegible], ერივანი, ნახიჩევანი, ხაჩმასი და [illegible].

შემნახველი კამერის სად. ტფილისში.

შკაფების შინა-მრეწველობის საგნებით ვაჭრობისათვის: სადგურები—ბაქო 1 და [illegible].

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, თავისი განცხადებები დაბეჭდილ კონვერტებში ან უნდა ჩააგდონ სპეციალურად ამისთვის საბჭოს დარბაზის კარებთან გამოკიდულ ყუთში, ან გამოგზავნონ ასეთები წინდაწინ ფოსტით. კონვერტებს, რომლებიც მოტანილი იქნება პირადად ან ფოსტით გამოგზავნილი, უნდა ეწეროს: „ამ.-კავ. რკ. გზ. სამმართველოს [illegible] საჯარო ვაჭრობისათვის“, განცხადებებში კი აღნიშნული უნდა იყოს, სახელდობრ, რის [illegible] და როგორია მის მიერ წინადადებული წლიური ფასი მშვიდობიან დროის მანეთის ანგარიშით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1) ქვითარი ხაზინაში შეტანის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს წინადადებულ ფასის არა ნაკლებ 10 პროც. [illegible] უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადებები აღნიშნულ წესით და წარმოდგენილ საიჯარო ფასის [illegible], რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეადგენდეს საიჯარო ფასის არა ნაკლებ 10 პროც.-ს. 2) შემოტანილ განცხადებებზე თანდართული უნდა იქნეს [illegible] გადასახადის ნიშნები.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ რკინის-გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებითაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა (ტფილისი, ვოკზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

3—1

[illegible] ქუჩა № 4.